


45
364/9



ეროვნული
ბიბლიოთეკა




სამკითველოს კაბი

0263360
1964 წ. № 1





ვლადიმერ ილიას ძე ლენინი კითხულობს „ისკრას“
რბფსრ სახალხო მხატვრის ნ. ყუკოვის ნახატი.



645 / 2
1964



შუადღის პეგოპეობა!

645 / 2



28

ირაკლი აბაშიძე

საახალწლოდ ქართულ ქალებს

მომილოცავს,
მომილოცავს
თქვენთვის დილა ახალი წლის;
მგოსნის სიტყვას
რა ფასი აქვს
თუ სათქვენოდ აღარ იცლის.

არა.
იგი კვლავ მზად არის
თქვენს გულებთან მისვლა-მოსვლად;
თქვენს გულებთან მიისწრაფის
ახალი წლის მისალოცად.

კვლავ მზად არის,
კვლავაც ცოცხლობს
თქვენს გულებთან მისვლა-მოსვლით...
რამდენი რამ მოგილოცოთ,
რა ბევრი გაქვთ მისალოცი.

თქვენს გმირობას,
თქვენს ქალობას
მეც ჩემს ჰანგებს ვანაცვალე...
გაუმარჯოს თქვენს მარჯვენას,
თქვენს გულსა და
ლამაზ თვლებს.





საპატია ბელორუსია

„რაბოჭნიცა ი სიალიანკა“ სკამრალ რკანს კალაქსიანი

დირექტორის გარდაცვალება

პირველ იანვარს შესრულდა ბელორუსიაში საპატია ბელისუფლების დაშვარების 45 წლისთავი. საპატია კავშირის ხელთა დიდ მეგობრულ თანხში ბელორუსიამ ამ წლების მანძილზე დიდი წარმატებები მოიპოვა. მეფის რუსეთის დატაკი და ჩამორჩენილი კუთხიდან იგი გადაიქცა დიდად განვითარებული მრეწველობის, ინტენსიური სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის მქონე რესპუბლიკად. ბელორუსიის სამრეწველო განვითარების ხატრატორი და საავტომობილო ქარხნების — პროდუქციამ აღიარება. ბოვია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მაღე ბელორუსია დიდი ქიმიის რესპუბლიკად გადაიქცევა: მწუბრში დეზბიან სოლივორის კალიუმის კომბინატი და გროდნოს ავოტოვანი სასუქების ქარხანა, უკვე მუშაობს პოლოცკის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

რესპუბლიკაში ფართოდ არის განვითარებული მანქანათმშენებლობა. ძნელია ჩამოთვლა იმ პროდუქციისა, რასაც ბელორუსიის სამრეწველო ხაწარმოები იძლევიან. მთელს ჩვენს ქვეყანაში ცნობილია ბელორუსიაში გამოშვებული მოტოციკლები და ველოსიპედები, გამოთვლის მანქანები და ლითონსაჭერელი დაწკები, რადიომიმდებები და ტელევიზორები. მსუბუქი მრეწველობის ხაწარმოები მშრომელებისათვის უხვად ამუადებენ სხვადასხვა სახის შალის ქსოვილებს, ნახებს, შეკერილ ტანსაცმელს, წინდებს...

ყოველწლიურად უფრო მძლავრი ხდება რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საპატია მეურნეობები, განუწყვეტილად მალდდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონე. მისი კულტურა.

ბელორუსი ხალხი ამაუობს იმითაც, რომ რესპუბლიკის სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში აქტიურად მონაწილეობენ ქალები.

ბელორუსი ხალხის წიების დღეს ჩვენს რედაქციას სტუმრად ეწვია ბელორუსიის ქალთა ყურნალი „რაბოტნიცა ი სიალიანკა“.

დამეა. გადაუღებლად წვიმს. მსხვილი და ხშირი წვეთები ტყლაშუნობს ფანჯრის მინებზე, პატარ-პატარა ნაკადულეზად ჩამორბის და ქვემოთ, ბაღში თავზე ეღვრება სიცივისაგან მობუზულ ყვავილებზე.

ვერ იძინებს ლიდა კირილეს ასული. ზის მაგიდასთან, ცალი ყურით ისმენს წვიმისაგან ატეხილ ალიაქოთს და თან ათას რამეზე ფიქრობს.

ბავშვების საძინებელ ოთახში საწოლი აჭრიალდა. დედის ყურმა უმაღ დაიჭირა ეს ხმა. წამოდგა, შეიღებს დახედა, ორივეს საბანი გაუსწორა და დაბრუნდა.

— რატომ არ გძინავს, ლიდა? — მოგესმა ქალს მეუღლის ხმა.

— არ ვიცი, არ მეძინება.

— დაილაღე, ალბათ.

— შესაძლებელია. მოგილოვში საოლქო თათბირი დიდხანს გაგრძელდა. მერე გზამაც დამქანცა, ხომ იცი, როგორია.

— სამი საათი სრულდება. როდისღა უნდა დაიძინო?

ლიდამ არაფერი უპასუხა.

— როდის ელით კომისიას?

— ამ დილით მოვლენ. იცი, ვალოდია, მე მესმის, რომ გაყოფა აუცილებელია, ჩვენს საპატია მეურნეობა ძალზე დიდა, მაგრამ როცა წარმოვიდგენ, რომ ეს დღეს უნდა მოხდეს, გული თითქოს შუაზე მერღვევა...

— შენთვის უკეთესია; გაყოფა და შრომა შეგიმსუბუქდება.

— გულს მაინც არ ეთმობა. რამდენი ჯაფა გადავიტანეთ, ვიდრე ფეხზე წამოგაყენებდით მეურნეობას. ხომ გახსოვს, როგორი ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა ჩვენი საპატია მეურნეობა?

— ასლა ღონიერი ხართ. ყოველგვარ ტვირთს ასწევთ. მერე შეიღებისთვისაც უფრო მოიცლი. ყოველთვის მოუთმენლად გელოდებიან. უმწიოდ დაძინებაც არ უნდათ.

...გამთენისას წვიმამ გადაიღო. მეურნეობის კანტორისაკენ მიმავალი გზა გრძელი, რუხი ფერის გუბედ გადაიქცა. კანტორაში ხალხი უკვე ელოდა დირექტორს.

— გუზინ ასალი ხომ არაფერი მომხდარა? — იკითხა ლიდა მისვლისთანავე.

— თოვა არ მოგვცეს.

ლიდა კირილეს ასულმა უკმაყოფილოდ შეგუმუნა შუბლი. სამი წელია, რაც იგი ამ მეურნეობის დირექტორია და ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. თოვას იგი იშოვის, აბა, პირუტყვს უჭმელს ხომ არ დასტოვებს! მაგრამ ეს უარი მაინც უსიამოვნოდ მოხვდა მის გულს.

დაიწყო საშუაოდ დღე.

კაბინეტში შემოვიდა მეურნეობის მთავარი ბუღალტერი მატრონა სოხოვაროვა. დირექტორს ხელმოსაწერად შემოუტანა ხელფასის უწყისები.

მერე ხნიერი კაცი მოვიდა, — დირექტორს უსაყვედურა რატომ გადამიყვანეთ სეზონურ საშუაოზო.

— ჩემო კარგო, მთელი თვის განმავლობაში მხოლოდ სუთჯერ გამოდი საშუაოდ. ამის შემდეგ რაღა საყვედური გეტქმის. — უთხრა მას ლიდიამ.

— სახლს ვიშენებდი, — იმართლა თავი მოსულმა.

— შეგებულება უნდა აგელო. არც თავს ჩაიყენებდი უხერხულობაში და ჩვენც არ გაგვხდოდი იძულებულს ასეთი ზომებისათვის მიგვემართა.

თერთმეტი საათი სრულდება. კომისია ჯერ კიდევ არა სრანს. ამ დროს დირექტორი ყოველთვის მეურნეობის სახელმონომი მიდის. ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტს ამოწმებს. შემდეგ კი განყოფილებებში მიემგზავრება. „რადას აგვიანებენ, ბარემ ჩქარა მოხდეს გაყოფა!“ მუშებიც ნერვიულობენ და ეს ბუნებრივიცაა:

— თქვენ ღონიერები ხართ, — უთხრეს ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოში. — ბაზაც კარგი გაცვთ. ასალმა მეურნეობამ კი ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო და ეს გაყოფის დროს გაითვალისწინეთ.

ეს კარგად ესმის ლიდას.

როგორც იქნა მოვიდა კომისია. შეუდგნენ მუშაობას.

— ასალ საპატია მეურნეობას გამოცდილი ზოტექნიკოსი სჭირდება. უკეთესი კანდიდატურა ჩვენ არ გვევლეება, ვიდრე თქვენი მეურნეობის მთავარი ზოტექნიკოსი ანტონინა შეკალინია. — თქვეს კომისიის წევრებმა.

45 წლისაა!

ბიკენაში პლინა ლვინა

მართლაც, ტყუილად კი არ დააჯილდოვეს ანტონინა შეკალისი პარტიის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის სიგელით, ფულადი პრემიით. რვა წელია ერთად მუშაობენ ლიდა და ანტონინა, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ლიდა კირილეს ასული ამ საბჭოთა მეურნეობის გოროდოკის განყოფილების მმართველი იყო.

უჭირდა ლიდას ანტონინას მოცილება, მაგრამ ამას აუცილებლობა მოითხოვდა და დავა არ დაუწყია.

— ბოლოსდაბოლოს, ლიდა კირილოვანა, რა დააშავეს მამაკაცებმა ასე რომ უგულვებელყოფთ, — ნახევარსუბრობით ამბობდა ახალი საბჭოთა მეურნეობის „გლუსკის“ დირექტორი სერგეი კონდრატევი, — ყველა პასუხსაგები პოსტი თქვენთან ქალებს აბარია. მთავარი აგრონომი, მთავარი

ტერიტორიული სამმართველოს უფროსის მოადგილემ ივანე იასკევიჩმა, — ახლა ახალი საბჭოთა მეურნეობის ანგარიში ჩააბარეთ.

ლიდამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. გვიან ღამით დაამთავრეს მუშაობა. გამომშვიდობებისას ლიდამ მაგრად ჩამოართვა თავისი პატარა და ენერგიული ხელი კომისიის წევრებს. მერე კაბინეტიდან გავიდა.

სპეციალისტების სამუშაო ოთახიდან ლაპარაკი ისმოდა.

— ლიდა კირილოვანა, — მიმართა ოთახში შესულ დირექტორს მელორეობის ფერმის ბრიგადირმა ი. გერმანმა, — უკვე მოეფიქრე, როგორ გაგაკეთოთ შხაპი. ფიცრებიც ცოტა დაგჭირდება.

— აბა, შენ იცი. დააჩქარე. შხაპი აუცილებელია. ფიცრებს ხვალ დილასვე მოგცემთ.



ზოტკეჟნიკოსი, მთავარი ბუღალტერი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი — სულ ქალებია.

— მაგათ რიცხვს მიუმატეთ სასაქონლო რძის ფერმის ოთხი ბრიგადირი, ორი მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი და კიდევ ბევრი სხვაც... — ხუმრობით დაუმბატა ლიდა.

მთელი დღე მუშაობდა კომისია. ტრიალებდა არიფომეტრი, კაკუნობდა საანგარიშო...

— სახელმწიფოსათვის ზორცის მიყიდვის გეგმა თქვენ უკვე შეასრულეთ, — უთხრა ლიდას კომისიის თავმჯდომარემ — ბოლრუსკის საწარმო-

დირექტორმა ბიბლიოთეკაშიც შეიხედა. მაგიდაზე ქალები დახრილიყვნენ. ქალთა საბჭოს კედლის გაზეთის „ქალთა ხმის“ საარედაქციო კოლეგიის წევრები გაზეთის ახალ ნომერს უშვებდნენ.

და მართლაც, საბჭოთა მეურნეობა „ზავოლოჩიცაში“, რომელსაც ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლიდა კარტელი ხელმძღვანელობს. მძლავრად და მტკიცედ გაისმის ქალთა ხმა.

გალინა ჯანელიძეგვსაძია

ალბათ, თქვენ გაიკვირებთ, თუ გეტყვით, რომ ჟურნალი, რომელიც ხელთა გაქვთ, დამზადებულია ნავთობისაგან.

რა თქმა უნდა, ასეა. აიღეთ მანქანები, რომლებიც ჟურნალს ბეჭდავენ. ისინი დაწვითლია ნავთობის ზეთებით. საბეჭდი საღებავის შემადგენლობაშიც ხომ ნავთობი შედის? ჟურნალში მოთავსებული ფოტოფირებიც ხომ ნავთობის გარეშე არ დამზადებულა? ჟურნალების გადაზიდვაშიც ნავთობს იყენებენ. მანქანების, თვითმფრინავების, თბომავლების ძრავებში ხომ ბენზინი იწვის და ეს კი ნავთობის გადაამუშავებული პროდუქტია.

„შავი ოქრო“, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ ნავთობს, რაღაც სასწაულებრივი სახით შედის ჩვენს ირგვლივ მყოფ ნივთებში. ჩვენ ზოგჯერ ვერც კი წარმოვიდგინებთ, რომ ჩვენი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, მაგალითად, კაპრონის წინდები, საწვიმარი ლაბადები, ძალზე გამძლე სინთეტიკური ქსოვილები — ნეილონი და ლავსანი, ხელოვნური ბეწვი, ტყავი, კაუჩუკი, სხვადასხვა სახის პლასტმასი, ნაწილობრივ დამზადებულია ნავთობისაგან.

და რას წარმოადგენს ფხვნილი „ნოვოსტი“, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევენ დიასახლისებში? ეს არის ნავთობის პარაფინი, გაზი პროპილენი და ბენზოლი.

ნავთობი შედის ძვირფასი სუნამოებისა და წამლების შემადგენლობაში. ქიმიკოსებმა „ისწავლეს“ მისგან ძვირფასი ქვების — ლალისა და საფირონის მიღება. ნავთობი რომ არ გვექნოდა, განა შეიძლებოდა ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური ნომადლების გაშვება?

ათას სხვადასხვა პროდუქციას იღებენ ნავთობისაგან. ამიტომაც, ასე რომ ფასობს ეს სასწაულმოქმედი „შავი ოქრო“.

ჩვენთან, ბელორუსიაში გეოლოგების მიერ აღმოჩენილია ნავთობის რამოდენიმე საბადო.

ხუთი წლის წინათ, სოფელ სლობოდაში, რომელიც მდებარეობს ბელორუსიის ძველი ქალაქის,

პოლოცის ახლოს, მდინარე დვინაზე, დაიწყო ევროპაში უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა-გიგანტის მშენებლობა.

მშენებლები მოვიდნენ უკაცრიელ ადგილზე. საჭირო იყო სამშენებლო მოედნის დასუფთავება. სამშენებლო მასალისა და ტვირთის გადაზიდვა მშენებლობისათვის მდინარე დვინაზე ბორნის საულაგებით. მშენებლები ცხოვრობდნენ მშენებლობის ადგილიდან რამოდენიმე კილომეტრის მოშორებით, მეზობელ სოფელში. ამიტომ, სანამ ქარხნის შენებას შეუდგებოდნენ, აუცილებელი იყო აემუნებინათ საცხოვრებელი ბინები მშენებლებისათვის, ამასთანავე, საწარმოო ზაის თბიქტები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დამუშავებინათ რკინაბეტონი, არმატურა, ასფალტი, საღებავი და სხვა მასალების საგნები.

პირველი დღეებიდანვე აიღო ლენინურმა კომკავშირმა შეფობა მშენებლობაზე. უძველესი პოლოცისაკენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან კომკავშირული საგზურებით გაემურნენ ახალგაზრდა ენთუზიასტები. მათ იზიდავდა სიძნელეების რომანტიკა, დაუძლეველი სურვილი — თავიანთი ძალები მოეხმარებინათ საქმისათვის, რომელიც ქვეყანას ესაჭიროებოდა.

მათ შორის, რომლებიც ჩამოვიდნენ ნავთობის უდიდესი თბიქტის ასაშენებლად, ქალებიც იყვნენ. ყველა მათგანის დასახელება შეუძლებელია. მშენებლობაზე მუშაობს რამდენიმე ათასი ქალი (ყველა მეთხვე მშენებელი — ქალი).

ვიამბობთ მხოლოდ ერთერთ მათგანზე, რომლის ბედი ერთი შეხედვით ჩვეულებრივია და ჰგავს სხვა ათასების ბედს.

...კატერინა ნიკოლინა ტიხვინიდანაა. 1958 წლის ზაფხულში მან შემთხვევით წაიკითხა, რომ ბელორუსიაში ქალაქ პოლოცის მასლობლად გაჩაღებულია უდიდესი მშენებლობა. მიტყე და გაბედული ხასიათის კატერინას დიდხანს არ უფიქრია ჩაალაგა აუცილებელი საჭირო ნივთები, დოკუმენტები და გაემურა პოლოცისაკენ. მაგრამ კატერინა სამუშაოზე არ მიიღეს. ჯერ ერთი, მას არ ჰქონდა კომკავშირული საგზური, მეორეც ის, რომ ქალიშვილი სპეციალობით არ იყო მშენებელი, მესამეც ის, რომ, როგორც ულმობელმა კადრების უფროსმა უთხრა „ქალები უმისოდაც კმაროდნენ!“

რა ექნა? შინ დაბრუნებულიყო? არავითარ შემთხვევაში! როგორ დაბრუნდეს, როცა აქ ასეთი მშენიერი ადგილია; დასავლეთი დვინა წყალუხვია და განიერი, ტყე-იდუმალი, ტყეში კი კარგებია. ხოლო ეს კი ისევეა, როგორც იყო 30-იან წლებში, ამურის კომსომოლსკში. მთავარი კი ისაა, რომ მშენებლები ახალგაზრდობაა, მხიარული, ხალისიანი ხალხი.

„არა, არ წავალ!“ — გადაწყვიტა კატერინამ და პოლოციდან მინსკში გაჩნდა, ბელორუსიის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. იქ მან დაბეჭითებით მოითხოვა მიეცათ საგზური და დაბრუნდა უკან, პოლოცკში. მაშინ კი მიიღეს კატერინა გალინა სერგუნის ბრიგადაში. აკვორდებოდა, სწავლობდა, როგორ მუშაობდნენ სხვები და ჩქარა ისე დაოსტატდა, რომ ბრიგადის საუკეთესო მებათქაშედ ითვლებოდა და გადაჭარბებით ასრულებდა გემგებს.

— ყოჩაღ, კატერინა! — ეუბნებოდნენ ამხანა-

გები, მაგრამ კატერინას ეცდებოდა მებათქაშეობა. „მთელი სიცოცხლე ხომ არ შეიძლება მხოლოდ კედლები ვლესო? მე მინდა ამწეზე ავიდე, ცის ქვეშ... და წავიდა ქალიშვილი კრწანულა მშენებლის მემანქანეთა კურსებზე. გამოსცდებო ამ სპეციალობაზე მინსკში ჩააბარა. შემდეგ დასთავრა საშუალო სკოლა და ტექნიკურ სასწავლებელში შევიდა, სადაც მენავთობ-სპეციალისტებს ამზადებდნენ.

აქ, მშენებლობაზე შევიდა კატერინა პარტიის რიგებში, აქ აირჩიეს იგი ბელორუსიის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობის დელეგატად.

აქ გათხოვდა იგი და შეეძინა ვაჟი... ამბობენ, რომ მენავთობეთა ქალაქში ყველაზე მეტია შობა-ღობა რესპუბლიკაში.

ახლა რამდენი ქორწილი გაჩაღდა ქალაქში, მდინარე დვინაზე! 1960 წელს 86 ქორწილი იყო, 1961 წელს — 120, გასულ წელს კი — 230.

...გიგანტი მდინარე დვინაზე ძალებს იკრებს. ის აღჭურვილია უზუსტესი ხელსაწყოებით. მის პროექტში გათვალისწინებულია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები; ყველა საწარმოო პროცესი აქ შექნაიზებულია და ავტომატიზებულია. ადამიანებს ამ ურთულესი ხელსაწყოების მხოლოდ მართვა დასჭირდებათ, მათ მხოლოდ თვალყური უნდა ადევნონ გიგანტურ დანადგარებში მიმდინარე პროცესებს.

არხანა-გიგანტის პირველი ასამუშავებელი კომპლექსი მზადაა, მწყობრში ჩადგა.

შრომითი შეტევა დასავლეთ დვინის ნაპირებზე გრძელდება.

3. მიხაილოვი



მინსკი. მოედანი ვაგზალთან. ფოტო ვ. დავაივის.

ქეცხოების საქსესური

გროდნო. აზოტოვანი სასუქების კომბინატის მშენებლობა.
ფოტო პ. ნიკიტინის.



გასაოცარი ხალხი ცხოვრობს ჩვენს ირგვლივ. მათი ხიშაიდობლივი თვისება ცოდნის დაუთქვებელი წყურვილი, მისწრაფება განათლებისა და მეცნიერული მოღვაწეობისადმი. დამახასიათებელია, რომ ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერ თანამშრომელთა 45 პროცენტი ქალია. აქ არ შეიძლება არ გაიხსენო რევოლუციამდელი ბელორუსია. მის სამ უმსხვილეს — ვიტებსკის, მოგილევის და გომელის გუბერნიებში განათლებულ ქალთა რიცხვი 3 პროცენტს შეადგენდა. ეს განათლება კი სამი კლასით განისაზღვრებოდა.

ჩვენ გვყავს მეცნიერ ქალთა დიდი არმია. ყველა მათგანის მოღვაწეობა თავისებურად საინტერესოა. მაგრამ არ შეიძლება ზოგიერთის შესახებ მანც ცალკე არ აღვნიშნოთ:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარია ანდრიას ასული ჟიდოვიჩი, ოდესღაც გლეხის გოგო მაშა, მასწავლებლობაზე ოცნებობდა. მაშინ ეს აუხდენელი ოცნება იყო, გოგონებს თითქმის სულ არ აძლევდნენ განათლებას. მაგრამ მას გაუმართლა ცხოვრებამ, ისევე როგორც მილიონობით მისთანა ადამიანს. დადგა სული სხვა ეპოქა, სკოლები გაიხსნა განურჩევლად ყველასათვის და მაშაც ისევე ოცნებობდა მასწავლებლობაზე. მას სხვა იდეალი არც შეიძლებაოდა ჰქონოდა, რადგანაც მის ირგვლივ მაშინ არ იყვნენ ქალები — ინჟინრები, მფრინავები, გემის კაპიტნები, წარმოების ხელმძღვანელები. და მაშაც გახდა მასწავლებელი, ფრთაშესხმული ოცნება ახლა მას ახალი მიზნებისაკენ მიაჭროლებდა, უმაღლესი მასწავლებლისაკენ.

გავიდა ხუთი წელი. უკან დარჩა უნივერსიტეტი. ისევე საყვარელი პედაგოგობა, ოჯახი, საყვარელი ქმარი და ქალიშვილი. მატერიალური უზრუნველყოფა. თითქოს არაფერი არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ეცხოვრა და ემზიარულა. მაგრამ ქალს არ ტოვებდა მისწრაფება ცოდნის შემდგომი გაღრმავებისაკენ, მეცნიერული მოღვაწეობისაკენ. მარიამ დაიწყო დისერტაციის დაცვისათვის მზადება. მაგრამ იმ დღეებში მოხდა საშინელი რამ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში — ომი! ქმრის გაცილება ფრონტზე, ევაკუაცია. ცეცხლმოკიდებული ქალაქები და სოფლები, თვითმფრინავების გამყინავი ზუილი, სისხლი, ცრემლი, ახლობლების დაკარგვა. დაიღუპა ქმარიც. მაგრამ ამ დიდმა მწუხარებამ და იმ ტვირთმა, რომელიც დააწვა მხრებზე მარია ანდრიას ასულს, ვერ გატეხა იგი, ვერ დააძაბუნა. უცხო ქალაქში ის ცხოვრობდა თავის პატარა გოგონასთან ერთად, ჰქონდა მცირე ულუფა და ცივი თთახი, მაგრამ დამეები ნავთის ჭრაქის შუქზე მუშაობაში გადიოდა და 1944 წელს დაიცვა კიდევც დისერტაცია.

რით მიიზიდა ახალგაზრდა ქალი ენათმეცნიერებამ?
მით, რომ მისი მშობლიური ბელორუსული ენა ცარიზმის დროს არ ითვლებოდა დამოუკიდებელ ენად. მას მიაკუთვნებდნენ სხვა ენის დიალექტებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენაზე ლაპარაკობდა მილიონობით ბელორუსი.



გომელი. პიონერთა სახსლდე.

მარია ანდრიას ასულის მიზანი იყო განეფითარებინა ამ მდიდარი ენის გრამატიკა და ლექსიკა; ამ ენაზე სომ თეთი დიდი მეცნიერი გიორგი სკარინა ლაპარაკობდა. ამ ენაზე სწერდნენ თავიანთ ნაწარმოებებს მაქსიმ ბოგდანოვიჩი, იანკა კუპალა და იაკუბ კოლასი...

რამოდენიმე წლის თავდადებული შრომის შედეგად მარია ანდრიას ასული გახდა პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. მას შემდეგ 5 წელი გავიდა. ამ წლის მანძილზე მან მოამზადა 10 მეცნიერების კანდიდატი, ამჟამად ამჟამად 5 ასპირანტს მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

მარიას ქალიშვილმა ინამ უნივერსიტეტი დაამთავრა და დედის კვალს გააკვა, ისიც ენათმეცნიერია.

ლიდია სიმონის ასული ჩერკასოვა მეცნიერებასთან მოიყვანა სიცოცხლის საწყისების ღრმად შეცნობის სურვილმა. პროფესორი სწავლობს რადიაციის მოქმედებას ცოცხალ ორგანიზმზე. ამ საკითხზე ის გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩეხოსლოვაკიაში. მისი ხელმძღვანელობით და რედაქციით გამოდის ვრცელი მოხარკაფია.

ლიდია სიმონის ასულს აღუვლებს რადიაციის მოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე. სწორედ ამიტომ გამოდის ის მშვიდობის დასაცავად. იგი მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის ერთერთი აქტიური წევრია. შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა, მივაღწიოთ განიარაღებას — აი, მეცნიერის კეთილშობილური ამოცანა.

მეცნიერი ქალის დიდი, ლამაზი ცხოვრება საესეა ოჯახური სითბოთი. მას ბევრი რამ აკავშირებს ქმართან, პროფესორ მერტინსკისთან, რომელიც განაგებს ბიოქიმიის კათედრას მიწის სახედიცინო ინსტიტუტში.

რესპუბლიკაში კარგად იცნობენ მეცნიერ სელექციონერს ემა პეტრეს ასულ სიუბაროვას. მისი მიზანია სახე უცვლელს ბუნებას, გასაღოს უფრო ლამაზი, მშვენიერი. მისცეს ადამიანებს ხეხილის სურნელოვანი, გემრიელი და გამძლე ჯიშები. ბელორუსიის პირობებში ეს არც თუ ისე ადვილია. მეცნიერმა ქალმა გამოიყვანა 3 ათასი სხვადასხვა ჯიშის ხილის ხე. მათი მიღებისას იგი ითვალისწინებდა, რომ ხეები ყოფილაყვნენ ყინვაგამძლე, უხვმოსავლიანი.

თავის დაკვირვებებზე, დასკვნებსა და აღმოჩენებზე ემა პეტრეს ასული ყვება მეცნიერულ შრომებში. მათი რიცხვი 50-მდეა. ღვაწლმოსილი მეცნიერი არაერთხელ დაუჯილდოვებიათ. დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით ის დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო მის მიერ გამოყვანილი ბლის ახალი ჯიშების გამო ინსტიტუტი, სადაც იგი მუშაობს, ვრჯურტის გამოფენაზე დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

არანაკლები მიღწევები აქვთ მეცნიერ ქალებს ტექნიკის დარგში. ასალგაზრდა მეცნიერმა ალა სტანისლავის ასულმა კასპეროვიჩმა გამოიგონა მოწყობილობა, რომელიც იძლევა ავტომატური კონტროლის საშუალებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითირებულების შემცირებისას.

საინტერესო და ღრმაშინაარსიანი სამუშაო აქვთ მეცნიერ-ოკულისტებს ტატიანა ვასილის ასულ ბირის და მარია მიხეილის ასულ ზოლოტარევის. ამ ორი ექიმ-პროფესორის სახელი ცნობილია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ისინი ადამიანებს უბრუნებენ სინათლეს. რა არის ამაზე კეთილშობილური!

ადამიანთა კეთილდღეობას ასმარს გულსა და გონებას მეცნიერ-ონკოლოგი ტატიანა ტიმოთეს ასული პოდდუნაია. რენტგენოთერაპია, უახლესი პრეპარატები, ქირურგიული ჩარევა გაასანგრძლივებს სიცოცხლეს, მაგრამ ვერ იხსნის ადამიანს, თუ მან გვიან მიმართა ონკოლოგს. აი, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი კიბოს პროფილაქტიკა. ამიტომაც ონკოლოგიური დისპანსერის კარი ყოველთვის ღიაა ადამიანებისათვის. დროულად აღმოაჩინოს ავადმყოფობა და ჩაატაროს მკურნალობა — ეს არის ექიმ-ონკოლოგის მთავარი ამოცანა.

მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნინა ვასილის ასულ კამენსკაიას, რენტგენოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბერტა მოსეს ასულ სოსილას, ვიტების სახედიცინო ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ გლაფირა ანტონის ასულ მედევედას, ნეოროპირურგს ნინა იაკობის ასულ კრასილნიკოვას, ორთოპედს, პროფესორ როზა მიხეილის ასულ მიწინას და მრავალ სხვას.

მრავალფეროვანია სამყარო, მრავალფეროვანია მეცნიერების დარგები, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ამ დარგში საბჭოთა ქალებს მამაკაცების თანატოლად ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ცხოვრების შესაცვლელად, მის გასაღამაზებლად და გასამშვენიერებლად. ამისათვის კი ღირს შრომა და ცხოვრება!

ალექსანდრა უსი



ადრე ბინდდება წამითის დამდეგს. თოვლმა გადაფოჭა მიწა, მაგრამ ერთ-ერთ დღეში, თოვლმა, უკვლოდ გაქრება. ნისლიან ბინდებში პირველ სანთლებს სიკაშკაშე დაუკარგავთ. დღის ამ მონაკვეთს ქალაქელები ჩვეულებრივად „პიკის საათს“ უწოდებენ. ქუჩებში ხალხი ჯგროვდ დადის. გადატვირთული ტრამვაი-ტროლეიბუსი ტაატით ეზიდება თავის ტვირთს.

ბევრმა სამუშაო დღე უკვე დაამთავრა, ვერა ნიკოლოვის ასულისათვის კი, დილაადრიან რომ დაიწყო ახალი პიკის რეპეტიციით, ისევ გრძელდება. ახლა უკვე სწრაფად გარბიან წუთები, ასლოვდება უნორმო სამუშაო დღის ყველაზე საბასუხისმგებლო მომენტი: ერთ-ორ საათში სპექტაკლი დაიწყება. ვერა უნდა დაივიწყოს ჩვეულებრივი საჭმე და საზრუნავი, იქცეს იმ ადამიანად, რომელიც დრამატურგსა და მაყურებელს ნებას. დღეს, ისე როგორც ყოველთვის, ვერა ნორჩ არსებად გარდაისახება.

მერე რა, რომ უკვე მესუსასეჯერ თამაშობს ბელორუსი კლასიკოსის იანკა კუპალას ბრწყინვალე კომედიაში „პავლინკა“. აგერ უკვე ორი ათეული წელია ამ სპექტაკლით იხსნება თეატრის სეზონი, თეატრისა, რომელიც ამ კომედიის ავტორის სახელს ატარებს. და ვერა პოლოც აგატას როლს ისეთივე შთაგონებით და თავდადებით თამაშობს, როგორც ამ ოცი წლის წინათ. ისევ ისეთი გონებაშავილი, მოხერხებული, მხიარული და ასტაჯანაა მისი დუენია რ. შერიდანის ამავე სახელწოდების კომედიაში, ისევ ისეთი გაიძვერა და ხარბია მისი „წინასწარმეტყველი“ მანეფა ა. ოსტროვსკის უკვდავი კომედიიდან. ან როგორ შეიძლება შენეულდეს ინტერესი ვერა პოლოს მიერ უბადლოდ შესრულებულ ბრეჟია ფიჯა პოპოვიჩისადმი, რომელიც ყველამ ქალბატონ მინისტრად აღიარა.

მაყურებელმა ბევრ ეკრანიზებულ სპექტაკლში იხილა საყვარელი მსახიობი: მალინა „ნესტერკაში“, აგატა „პავლინკაში“, პავლინა ბოსანი კრაპივას კომედიაში „ტროლეიბი გალობენ“. მაგრამ მგონი ყველამ არ უნდა იცოდეს, რომ ვერა პოლო პირველი ბელორუსი კინოფარსკვლავია. კინოში იგი 1927 წელს მიიწვიეს და აღისას როლი შესთავაზეს ფილმში „შრიალბენ ნაძვები“, არც



შემცდარან, ვერა პოლომ შესანიშნავად გაართვა თავი როლს.

მაგრამ, მაინც თეატრში, კერძოდ, იანკა კუპალას სახელობის თეატრში პპოვა თავისი მოწოდება მსახიობმა ქალმა. კინო კი მისი ბრწყინვალე და თვითმყოფადი ტალანტის პოპულარიზაციის საშუალებად იქცა. სწორედ კინოს წყალობით გაიცნო ვერა პოლო მაყურებელმა რესპუბლიკის ფარგლებს იქით, რომელსაც საშუალება არა ჰქონდა სცენაზე ესილა იგი. მაგრამ სინაზული უნდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ კინო-მაყურებელი ვერანის მეშვეობით ვერ იგრძნობს ვერა პოლოს ტალანტის ყველაზე ძვირფას თვისებას — არაჩვეულებრივ სცენურ მიმზიდველობას. რას იზამ, ესაა სწორედ თეატრის უპირატესობა კინოსთან შედარებით.

ბელორუსიის ლამაზი სოფლიდან — ვალერიანოვკიდან მოვიდა ვერა თეატრში. მისი ნიჭი უცბად არაფის აღმოუჩენია. პირველად მისმა საამო ხმამ მოხიბლა ყველა: მღეროდა გოგონა სოფლურ ტკბილ სიმღერებს და სწორედ ამ ხმის წყალობით იყო, რომ გუნდში ჩაირცხეს.

პირველსავე უსიტყვო როლით შენიშნა იგი მაყურებელმა, შენიშნა სტატისტიკისათვის უჩვეულო დაბეჭდვითა და გრძნობით თამაში, საოცარი ორგანიული კავშირი სცენასთან; სცენაზე თავს ისე გრძნობდა, ისე დადიოდა და მოძრაობდა, თითქოს მშობლიურ ხუტორში ყოფილიყო. ამას უნდ ერთგოდა ახალგაზრდა მსახიობისათვის სხვა აუცილებელი მონაცემებიც — საოცრად ლამაზი სლაგური სახე, ციმციმა თვალები და მაღალი ამოტილი ტანი.

ცნობილმა დრამატურგმა და რეჟისორმა ე. მიროვიჩმა, რომელიც მაშინ თეატრს ედგა სათავეში, დიდი პედაგოგის ადლოთი იგრძნო, რომ ქალიშვილის მიდრეკილება სახასიათო როლებისაკენ ჰქონდა. პირველად როლი მიროვიჩმა მისცა თავის პიესაში „კასტუს კალიოვსკი“. ეს გახლდათ ერთგვარი გამოცდა, რომელიც ვერამ ბრწყინვალედ ჩააბარა. ალტაცებულმა რეჟისორმა კი სპეციალურად მისთვის დაწერა პიესები: „ამხანაგ ბრიზგალინის კარიერა“, „გამარჯვება“ და „როცა თითისტარები ამღერდებიან“. თამაშობდა ვერა მიოელი გატაცებითა და სიყვარულით და ყოველი ასალი როლის განხორციელება წააგადა უბრალო



„პარტიზანები“—კატერინა



„ქალბატონი ვინისტერვა“—
უცკა პოპოვიჩი

ქვის ძვირფას თვლად გარდაქმნას. იგი მუდამ იმას ცდილობდა, რომ მისი გმირები, რომლებიც ხშირად ერთი და იმავე წრიდან იყვნენ გამოსული, ერთმანეთს არ დამსგავსებოდნენ და მუდამ განსხვავებული, ინდივიდუალური ხასიათების ძებნაში იყო, რასაც კიდევ ასერხებდა შესანიშნავად. ვერა პოლომ მთელი გალერეა შექმნა მეტად საინტერესოდ გადაწყვეტილი ხასიათებისა.

ბელორუსიის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადანზე, მოსკოვში, ვერა პოლომ ალტაცებამი მოიყვანა მაყურებელი. დედაქალაქის პრესამ მაღალი შეფასება მისცა მსახიობი ქალის თამაშს.

კარგა ხნით ადრე, სანამ ვერა ნიკოლოზის ასულს ბელორუსიის დამსახურებული, შემდეგ კი სახალხო არტისტის წოდებას მიანიჭებდნენ, მეგობრებმა მას ხუმრობით „რესპუბლიკის საკოლმეურნეო მსახიობის“ სახელი შეარქვეს. არ ყოფილა არცერთი გასვლითი კონცერტი კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, რომ ვერას არ მიეღოს მონაწილეობა. კონცერტის პროგრამის წამყვანი ნაწილი ყოველთვის ბელორუსული ხალ-

ხური სიმღერებისაგან შესდგებოდა და ვერაც ტკბილი, გულშიჩამწოდომი ხმით უმღეროდა თანამემამულეებს მშობლიურ სიმღერებს.

40 წელია ვერა ნიკოლოზის ასული დაუღალავად ემსახურება სცენას.

სულ ახლახანს, მაყურებელმა თავისი „საყვარელი მსახიობი კიდევ ერთ, ახალ როლში იხილა, ეს იყო ქალბატონი ისტროვსკაია პოლონელი დრამატურგის პ. ხაინოვსკის პიესაში „ციმციმა სიმღერები“. ამ პიესაში, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით არქაულია (მასში 1913 წლის ცხოვრებაა ასახული), მსახიობმა შესძლო თავისი როლის ასლებური ინტერპრეტაციით განსახიერება.

კუპალას სახელობის თეატრის მსახიობთა ძველი თაობის ღირსეული წარმომადგენლის ვერა პოლოს ტალანტი ჯერ კიდევ გაფურჩქნის პერიოდშია. ვუსურვოთ მას მსახიობისათვის ყველაზე ძვირფასი და აუცილებელი რამ—ბევრი, კარგი და სხვადასხვა როლი.

თამარ ბუჯაკო

კოლმეურნეობა „სამშობლოაოვის“
ბრიგადის ტ. ბარბანტივა და კოლმეურნი
ე. ბაქოვა ხიზნისი ყანაში.

მინკა. ლენინის პრისებქტი. მარცხნივ—სახლმუზეუმი, სადაც
შესდგა რხდმ პირველი ყრდობა.



ცნობილი მწელები, სოციალისტური
შრომი გმირი
ლიდა ოხოტკი





სურათი

მხატვარი ლია სვანიძე

— ქალაქელი ხარ, ბიჭო. კაი ამბები გეცოდინება, — არ მიყურებს, ისე მეუბნება მოხუცი მეზობელი და ხელის ერთი მოსმით შეკონილ თავთავებს ძირში ჭრის ნამგლით.

ყველაფერი გამეორებაა შარშანდელი ზაფხულისა. შარშანაც ასე მითხრა ამ მოხუცმა. შარშანაც ასე აცხუნებდა მზე და ქროდა თბილი ქარი. მე კიდებჩამოძქნილი ქუდი მესურა და ვსხებდი ოქროსფერ ტალღებს...

მხოლოდ, აი, ეს თავსაფრიანი გოგონა... ეს თავსაფრიანი გოგონა შარშან არ მოკვებოდა ჩემს კვალს. არ მოკვებოდა... ახლა კი... ჰო, ახლა გოგონა ერთად აგროვებს მოჭრილ თავთავებს და ისე მარჯვედ კრავს ულოთი ნამჭებს, ბევრს შეშურდება. თითებიც რა მოქნილი და სწრაფი აქვს!

სოხბის ბუმბულისფერი კაბის ბოლო ხან მიწაზე იშლება და ხან მზეზე გარუჯული მაღალი ფეხების მუხლისთავს ეხება. სწრაფად მოძრაობს მისი თითები და ერთხელაც არ გამოიხედავს თვალებზე ჩამოფარებული თავსაფრიდან. თითქოს ულოსა და ნამჯის გარდა ქვეყანაზე არ არსებობს რა მისთვის.

სხვადასხვა ხმაზე წკრილებს ორმოცდაათი ნამგალი და, მგონია, ჩემს ნამგალს ყველაზე დიდი ხმა აქვს. მივიწვევთ წინ და ვიტოვებთ უკან გადასხებილ ნაპურალსა და უშეგლეხელ ძნებს.

შუადღეზე თხილნარს მივაშურეთ. ჩრდილში გავიშოტეთ გულამბა. თხილის ფოთლებს თავლი დასდებია. ირგვლივ ტყის თაფლისა და ნაძვის ცრემლის სუნი ტრიალებს. სუნი ჭამის მადას აღიზიანებს და აი ბებიაც მოღონილუბს კალათით ხელში. რამ ამოიყვანა ამ სიშორეს ავაღმყოფი მოხუცი!

— რატომ, ბებია, რატომ? — შეგვეკითხე წყენით და თან კალათას გადავხედე.

— ეჰ, შვილო, განა ყოველთვის ვნახავ საქორიას. — მიპასუხა და ბებრული სხივჩამქრალი თვალებით მომილაურსა. მიფხვდი, ბებია საქორია მოიგონა. ჩემი ნახვა ქვეყანას ურჩევნია.

ვისადილე. მერე ისევ გავიშოტე და ცას ავხედე. ბებიათაც ასედა.

— იწვიმებს ბიჭო. — თქვა და დაფაცურდა. ნარჩენები კალათაში ჩაყარა.

ქარი ცხვრის ფარასავით მიერეკება ღრუბლებს საკაფის წვერისაკენ.

„იწვიმებს, აუცილებლად იწვიმებს“. — გავიფიქრე მეც.

ბებია წავიდა. მე ნამგალს დავაველე ხელი. მომკვლემებიც მიადგნენ თავთავებს და ისევ აწკრიალდა ორმოცდაათი ნამგალი.

ჰო, ყველაფერი ხდება ისე როგორც შარშან. მხოლოდ ახლა... ახლა თავსაფრიანი გოგონა მოკვება ჩემს კვალს და მიწაზე გაშლილ სოხბის ბუმბულისფერ კაბაზე სტიან ჭრებლბარკლიანი კალიები, თავით გამეტებით მესხლებიან ფეხებზე, ძირს ვარდებიან და ისევ სტიან.

გოგონასთვის კი ულოსა და ნამჯის გარდა ნეტავ თუ არსებობს რამე ქვეყანაზე!

ჩამობნელდა. საკაფის თავზე ცის ლაქვარდი დაუფარავს პირგამურულ ღრუბლებს. აღარ სტიან კალიები. სიჩუმეა. ნაძვანარიდან სკიპიდრისნაირი მძაფრი სუნი მოიტანა ქარმა.

უცბად დაიქუხა და წამოუშხაპუნა. წელში იკეცებიან თავთავები. წვიმით ილუმებიან და იკეცებიან.

ვანებეთ სამუშაოს თავი და დავეშვით სოფლისაკენ. თვალთ ვეძებ თავსაფრიან გოგონას. არსად ჩანს. სად გააქრა მაინც...

შინ გალუმბული მივედი. ბებია აივანზე დგას. პირჯვარს იწვრს. ლოცულობს ჩურჩულით. ჩემი ძმა იატაკზე ზის ფეხებგაჩხული. გვერდით ჯოხის ცხენი მოუდგია და მაღლიანად ილუმება მჭადსა და ყველს.

ნამგალი გავწმინდე ჩვრით. კაჩხაზე ჩამოვიკიდე. სველი ტანსაცმელი გამოვიცვალე და ვიცდი მოთმინებით, როდის გადაიღებს წვიმა.

კარგახანს უხატქუნა და აგერ როდის გადაიღო.

სამკელად აღარ შეიძლება წასვლა. სახლში რა გამაჩერებს. გავალ და ყანას მაინც შემოვუვლი გარშემო.

გარეთ გამოვდი.

მივსივრნობ ზურგზე ხელეშემოწყობილი და ხარბად ვისუნთქავ მიწის სუნს. წვიმის წვეთებისაგან წდება ფოთლები, ღღვება მიწა, იფხება... ჭინჭრებში ფრთხილად ჩავაბიჯე. ყორვზე ავცოცდი. ჩამოვჯექი. ყურს ვუვადებ მდინარე ნაანწლარის ბუტბუტს და ხალათის საყელოში მიცვივიან ცივი წვეთები...

...მაგრამ განა მიწა ვარ, მე რა გამაღობს, მე რა გამავსებს! ვგრძნობ რაღაც მაკლია, რაღაც საფიქრალი მემატება.

ნაანწლარს ვაღმა, კაკლისა და ბლის ხეებს შორის დაბალი აივნიანი სახლი ჩანს. მოაჯირზე გოგონა ჩამომჯდარა, ბოძს მიპყრდნობია ზურგით და კითხულობს წიგნს. მერე რა... ფურცლავს და კითხულობს.

უმუშო მოწყენილ ცაზე შეთხელდა ღრუბლები. აქა-იქ ლაქვარდმაც გამოისხედა. უეცრად, დასავლეთით თეთრ-მოთავისფრო ღრუბელი გაიპო. გაიწ-გამოიწია და პირი დააღო. ამის შემდეგარემ მეც დაუღე პირი და გამახსენდა ბებია ნათქვამი: წვიმის შემდეგ, ზოგჯერ ცა კარს გახსნის, ნათლის სვეტებს ჩამოშვებს დედამიწაზე. ვინც პირველად შეხედავს კარის გახსნას, ნათლის სვეტები მას ბედნიერებას ჩამოუტანსო. ვინ იცის, იქნებ პირველი ვარ...

კარიდან ფირუზისფერმა გამოიჭვრიტა და ფართო სამკუთხა ნისლებივით ჩამოიღვარა სხივები ნათელი კიდეებით, შუაში ფერმკრთალი, წყლისფერი.

ვზივარ ყორვზე მუხლებზე ხელეშემოჭობილი და თვალს არ ვაცილებ ცის კარიდან ჩამოშვებულ გამჭვირვალე სამკუთხედებს. სამკუთხედები უსილავი ფსკერით ეხებიან ლინის ჭალას და კიანთებს ჭალა ყვითელ-შწვანედ. მონანს შორს ირიბად განლაგებული მთები. განლაგებულან სიმუქის მიხედვით: შავ-ლურჯი, ღურჯ-იისფერი, ვერცხლის მტვერნაფრქვევი... შემდეგ რუხი ფერისა, გამოკვეთილი კონტურებით. მერე კონტურები ქრებიან და ნაცრისფერი მთები გაცერცილ ცას ლაქებად გაეკვრებიან. შორს, ძალიან შორს ეს ლაქებიც უჩინარდებიან.

დიდხანს შევცქერი ამ იშვიათ სანახავს და რაღაც სიდიადის გრძობა მეუფლება. ცის კარის დახურვის შემდეგ მე მაინც ვხედავ იმ სხივებს. ვხედავ გოგონას, რომელიც ისევ მოაჯირზე ზის და ისე მალ-მალე ფურცლავს



წიგნს, ეტყობა არ კითხულობს. მომჩვენა, თითქოს თვალს აპარებს ჩემსკენ, და...

რალაც ძალამ წამომასხუნა ზეზე. რალაც ძალამ ისე გამზარდა უცბად, ქვეყანაზე ვეღარ ვეტყვი. არ ვიცი რა მოვიმოქმედო. შეიძლება ნაწილარში ვისკუპო აქედან. ან არა და, ამ ქლიავის ტოტს წავაგვლებ ხელს, გაგქანდები და ისევ ყორეზე დავდგები. შევხტი და ჩამოვეკიდე ტოტს. ტანი მალდა შევისროლე, ტოტმა დაიხრჭიალა. არ ვაქცევ ყურადღებას, იხრჭიალოს რამდენიც უნდა. მეორედაც რომ ჩამოვეკიდე და გაგქანდი, აღარ დამცალდა ყორეზე შედგომა...

ქლიავის ტოტიანად ჭინჭრებში მოვადინე ბრაგვანი. მარტო ის მასსოვს, რომ ნაწილარის ბუტბუტი ვილაცის კვიელმა დაჰფარა; „ალბათ, ცუდადაა ჩემი საქმე“. — ვფიქრობ, ვირინდები და თვალებს ვხუჭავ. ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, როგორ გამისხნეს ხალათის ღილები და ხელით გულისცემა გამისინჯეს.

— გული უცემს! — სიხარულით ამბობს ქალის თუ გოგონას ხმა და ვნატრობ ამ ხმის პატრონი იყოს ლამაზი, შვინდის წკნელივით მოქნილი. წარმოვიდგინე, რომ ჩამოჰყვა მზის გამჭვირვალე სხივებს, ისიც გამჭვირვალე და არამჭვეყნიურია. ხელის შეხება რომ ვცადო, რა თქმა უნდა, ხელში პაერი შემჩრება, რადგან ის პაეროვანია. გულმკერდზე გადადებული ტოტს ცალი ხელი გავუშვი და ბრმასავით მოვაფათურე, თითებში პაერის ნაცვლად რალაც ღუნღულა გამეხლართა.

— ერთი ამას დამისხედეთ?! — მომესმა ამჭვეყნიური შეწვივლება და ვილაცამ ჩემი ხელი ჭინჭრებში მოისროლა. მე გამწარებული წამოვიჭერი და ავეყვირდი:

— შენ ვინ გკითხავს, მკვდარი ვარ თუ ცოცხალი... იცი რას გიზამ?... ვინა გგონივარ, რომ ასე მექცევი... მე შენ ასლავე...—და უეცრად ხმას ვიწყვეტ. სათქმელი ენისწვერზე მეყინება. მართლა შვინდის წკნელივით წვრილი გოგონა ქლიავის ხეს ამოფარებია, ქლიავისფერი თვალებით ქვეშევრდამოიყურება წამწამების ჩრდილიდან, აბურდულ თმას ისწორებს და შიშველ ფეხებს გულმოსულად ურევს აყალონარევე ყვითელ ტალახში. თითებს შორის ამოსხმულ ტალახს ფეხის ტერფს უსვამს და მერე ისევ ურევს.

წამით თვალი მოვწყვიტე მის ფეხებს და მწიფობაში შესულ ქლიავს დავხედე. ვწყვეტ ერთ მომსხო ქლიავს, ვჭამ და კურკას ჭინჭრებში ვაგდებ. რატომღაც გონებაში გამიბრბინა აზრმა, რომ ქლიავი და გოგონა ერთმანეთს ჰგვანან. ჰგვანან იმიტომ, რომ არც ერთია მწიფე და არც მეორე—ორივენი შეთქვირებული არიან. ამ მსგავსებამ გამაცინა და გოგონაც გავაცინე. „რა სიცილი სცოდნია ამ ფეხებტალახიანს“, გავიფიქრე და ავხარხარდი. ისიც აკისკისდა. მერე ორივე გრუმდებით და თავებს ვხრით.

მე ვაინც ვხედავ მუხლების თავზე დაშვებულ კაბას, კაბას ხოხობს ბუმბულისფერს. ვხედავ, როგორ უსვამს ერთმანეთზე ტალახიან ფეხებს და როგორ იყურება წამწამების თალახრიდან ქლიავისფერი თვალბეჭდები...

... და მოუფიქრებლად გავუწოდე გოგონას დახუნძლული ქლიავის ტოტი: — აპა, გამომართვი, შენი იყოს.

გოგონას ჯერ გაუკვირდა, მერე გამიღიმა და მორიდებით ჩამომართვა.



ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს ბებიას ნათქვამის სიმართლეში? სომ შეიძლება ნათლის სვეტს ჩამოჰყვეს ბედნიერება და შენ, სულ რომ არ მოელო, იმ დროს მოგადგვს კარზე... თუნდაც ტალახიანი ფეხებით...

ლაშარა გოცირიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ნაწილარში კაპარკოს

კაპარა მხელაიკი

გამონახა ბებოს ჯონი,
გაუჩვრითა ცხვირი,
შიგ კანაფი გაუყარა,
— დაღეჭ, ცხენო! — ყვირის.

კუდისათვის გამოსთხოვა
ბებოს ძაფის კონა,
და შებმაშიც მოიხმარა
ისევ ბებიკონა.

გამოაწყო ბედაური,
გადაჭდა გოგი,
გააქენა ხევზე ცხენი,
ანმაურდა ღორდი.

ნუნუ ლალიძე

ფოთოლა ჩიხაბაძე

ნაკილი

საღამო ხანს სირბილით
ნაცრისფერმა ბაჭიამ
სტაფილოს მოსატანად
ბოსტნისაკენ გასწია...
...დაახვავა ...აავსო
ბაწაწინა კალათი,
ბებოს რომ არ ეწყინოს
დაუტოვა ბარათი;
— შინ რომ ყოფილიყავი,
აღარ მოვიპარავდი.
ბეწვს მოგიტან სანაცვლოდ,
მოიქსოვე ქული,
შვილიშვილებს გაფიცებ,
არ შემარქვა ქურდი.

ავერცოვი ბაბია

ოთხი დღეა არ გვეხმის
ხმა ბებიკოს ქოშების.
ეუბნება დედიკოს
ბებო დროგამოშვებით:
— მე წამალი არ მინდა,
მომიყვანე ბავშვები
და უთუოდ მოვრჩები.

მაკოს ვადაურნი

აწკრილდა ტელეფონი,
ბებოს ძინავს,
ღვიძავს მაროს.
მიირბინა აპარატთან
და ჩურჩულდით ამბობს „ალოს“.
ბებო რომ არ გააღვიძოს
ხმამალლი ლაპარაკით,
სხვა ოთახში გაიტანა
ტელეფონის აპარატი.

ვერ იქნა და ვერ გადაიყარა გედიქის ხევიდან ტყვიისფერი ჯანდი. ირგვლივ ბროწეულუბი და ფშატის ხეები ჰყვოდნენ და მაინც ციოდა. ჟინქლავდა. ასეთი ამინდები კახეთში გვიან შემოდგომაზე იცის; ახლა კი გაზაფხულის სიმწვანე გაწოლილიყო ალავერდიდან ივრის ველამდე.

მარიამი მოჩუქურთმებულ ქართულ აივანზე იჯდა და თემშარას ნაღვლიანად გაპყურებდა... ცხრაას ორმოცდაერთშიც ასეთი ჯანდი იყო, აქვითინებული მარიამი ფრონტზე მიმაგალ

მაშინ ძველანაგვლებმა კარგი მოსავალი მიიღეს. მარტო მარიამის რგოლმა ჰექტარზე ას სამოცდაათოსმეტეტი ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, ვალდებულება კი ორმოცდათვრამეტეტი ცენტნერი იყო.

მოწინავეთა სახელის გარდა, მარიამის რგოლის წვერებმა პირველი პრემია დაიმსახურეს. მერგოლური მარიამ ბეგიაშვილი კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს...

...სალამოს ბინდი რომ დაეშვა ალაზნის ველზე, მარიამის ჭიშკარს ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი მოადგა. მარიამს გული

მანქანით შეწამვლას აზრი არ ჰქონდა, მანქანა ვაზებში არ შეიშვებოდა, ტალახში ჩაეფლობოდა და საქმით კი ვერაფერს გააკეთებდა... სამუშაო ხელით უნდა შესრულებულიყო.

ბრიგადის სხვა წევრები ფენახში ადრე ჩამოსულიყვნენ და ცემენტის უზარმაზარ აუზებში შაბიამის ხსნარი დაეყენებინათ. დილიდანვე რამდენიმე ტონა შაბიამის ხსნარი გადაიტანეს შურგზე მევენახეებმა. მერგოლური, მიუხედავად ჩვეული მუყაითობისა, მაინც უგულოდ სწამლაგდა წამალგადარეცხილ ვაზებს. აქედან მაინც არაფერი გამოვა, საცაა წვიმა დაუშვებოს...



ქმარს აცილებდა. დასაქცევი დრო იყო. უჭირდა საშობლოს. ჯალათები სისხლიანი ჩემებით თელავდნენ მშვიდობიანი ხალხის სიცოცხლეს.

ორიოდე წლის შემდეგ კრასნოდარიდან დეპეშა მოვიდა. მარიამმა შავები ჩაიცვა და ხალხში გასვლა გადაწყვიტა. ხელს გაგანძრევ, მუშაობას გულს გადავაცოლებ და ობლებს უმამობას არ ვაგრძობობინებო — ფიქრობდა პაატაანთ ქვრივი.

დედამთილმა შვილიშვილების მოვლა-პატრონობა ითავა, მარიამმა კი თოხი აიღო და ტარაბანაში გაპყვა თანასოფლელებს სიმინდის სათონხელად. ომიდან ახლადდაბრუნებული ცალხელა რაქდენი და ხის ფეხზე შემდგარი სოსო თარალაშვილი დაპყვებოდნენ ქალებს სამუშაოზე. მამაკაცის ჰაჭანება არ იყო სოფელში. რჩეულები მკერდით იცავდნენ მამულს.

ფაშისტები დნებრით უკან რომ იხევდნენ, მარიამი მაშინ აირჩიეს მერგოლურად. ათიოდე ქალი და ამდენივე დასახირებული მამაკაცი ჩააბარეს და შირაქში გაისტუმრეს სიმინდის ასალეზად.

მძიმე შრომა, უძილო ღამეები, ფარღალალა ქოსებში ღამის თვეა არც ისე ეადვილა მარიამს, მაგრამ საჭიროება მოითხოვდა და მოთმინებით იტანდა ყოველივეს.

...თემშარაზე მანქანამ ჩაიგრიალა და ხმაურმა ფიქრებიდან გამოიყვანა მარიამი. ელდარისკენ გაიხედა, შავი ღრუბლები სერებზე გადაიფხრიწა და ალაზნის ველზე გაიშალა.

წვიმამ დაუშვა.

მარიამმა ცასავით შეიკრა შუბლი. „რა იმედები მიცრუვდება!.. კრებაზე მაინც არ მეთქვა... რას მოგიფიქრებდი, რომ ამინდი ამას იზამდა. არადა, სირცხვილი იყო, რას იტყოდა ხალხი. დეპუტატად ავირჩიეთ და სახლში ჩავტაო!.. წვიმა რომ არა, 1962 წლის ამბავი განმეორდებოდა.“

გადაუქანდა, მუხლები აუკანკალდა და კიბეზე დაეშვა...

— გაქრი, შენ. რამდენჯერ გითხარი, მაგ ტანსაცმლით აღარ მომადგე მეთქი, რაღა არ გავიფიქრე! — გაბრაზდა მარიამი და ბრიგადირი გოგია მჭედლიშვილი შინ შეიბატყა.

— ხვალ დილით, ქვეყანა რომ იქცოდეს, შენი რგოლით ვენახში უნდა იყო, — დაუბარა ბრიგადირმა და განაწყენებულ მარიამს გაშორდა.

რე რგოს წესები...

დილით ჯანდი სერების ნაოჭებში შეიყუვა და მზემ ცალი თვალით გადმოხედა გალუმპულ დედამიწას. თემშარაზე მარიამი გამოჩნდა. საწამლაკი აპარატი ზურგზე წამოკიდა და ვეგაკური ნაბიჯით მიდიოდა თემშარაზე.

— გაიხედე, გენავ, ჩვენი მარიამია თუ მომეჩვენა? — გასძახა ანიკო დედაშვილმა შვილს და შუბლი მოიჩრდილა.

— ის არის, ის... რა მოგივიდა, ვედარ ხედავ?

— ახლა ვენახში შეისვლება, რომ აუღია თავი და მიღის? — ჩაიბუზღუნა ანიკომ და მარანში შევიდა აპარატის გამოსატანად. — როგორ იცის ხოლმე ურუმად წასვლა, არავის დაუძახებს. ქალი ხარ და დააკლდი სამუშაოს, რომ მივდიოდო ხომ დამინახეთო! — ჩაილაპარაკა ანიკომ და აპარატმოკიდებული ჭიშკარში გავიდა.

სოფლის ბოლოს მარიამს მარგალიტა ბეგიაშვილი, სიდო დედაშვილი და რამდენიმე მამაკაცი წამოეწვივნენ. რგოლი აჩქარებით გაემართა ვენახისაკენ.

იმ დღეს ვენახი მეოთხედ უნდა შეეწამლათ.

გაჟიუტდა ბრიგადირი. არც თვითონ აიხედა ზევით და არც სხვები აახედა. ის იყო უკანასკნელი რიგები აქწონდათ, რომ ივრიდან წვიმა წამოვიდა. ნახევარ საათში მთელი დღის ნაშრომი პატარ-პატარა რუებმა ალაზნის არხში ჩაწრიტეს.

ბრიგადირი ქოსში შევიდა და ბოლმამორეულმა თავი ხელებში ჩარგო.

— რა ექნათ, ხალხო, ვენახი ხელიდან მიდის, იფიქრეთ რამე, თორემ მთლად გამოვმეტრდი ბოლმისაგან, — დაიწყო ბრიგადირმა.

ქოსში თავითფხებამდე გაწუწული მთავარი აგრონომი დიმიტრი დედაშვილი შემოვიდა, იქ მყოფთ მიესალმა და აბრიალებულ ცეცხლს ზურგი მიუშვირა.

მოსაზრებები ბევრი იყო, საქმეს კი არცერთი არ შეელოდა. სიტყვა დაუკითხავად მარიამმა აიღო. მერგოლურმა ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

— ვენახი სინესტისაგან იღუპება, საცაა ჭრაქი იფუტებს. წვიმა არ გვეცლის წამლის შემრობას. ჩემის აზრით, ყველაზე კარგი გამოსავალი ის არის, რომ ორპროცენტიანი შაბი ვიხმაროთ.

მთავარი აგრონომი მარიამისკენ მოტრიალდა და მრავლისმეტყველი თვალებით გადახედა.

— ეგ რამ გაფიქრებინა, მარიამ! მაგდენი შაბი ვაზის ფოთოლს რა ხეირი დააყრის! არ შეიძლება, ფოთოლი მოითუთქება. სხვა რამ უნდა ვიღობოთ, — თქვა წყნარად აგრონომმა.

— სხვა რამე თქვენ იღონეთ, მე ჩემს ვენახს ასე მოვუვლი, რაკი გავიპიროვნე, პასუხისმგებელიც მე ვარ. რა დროს წესებია! — თქვა მარიამმა და ქოსი დატოვა. მერგოლურს სხვებიც მიჰყვნენ.

ქოსში აგრონომი და ბრიგადირილა დარჩნენ. ისინი დიდხანს უყურებდნენ ტალახში მიმაგალ კოლმურნეებს.

ნ ა რ ი ა მ ა

მარიამმა დილით დაუარა ყველას სახლში და სამუშაოზე წამოსვლა სთხოვა.

ქინქლადა.

თამარ ღვედაშვილმა უარით გამოისტუმრა მერგოლური: დღეს ვერ მოვალ, ბავშვი გამიხდა ავალო...

მარიამი მიუხვდა უარის თქმის ნამდვილ მიზეზს და არაფერი აღარ უთხრა.

თამარი კი დიდხანს იდგა ერთ ადგილას და ხედავდა ნისლში მიმავალი მარიამის სილუეტს.

„ისევე ისეთია, როგორც ამ ოცდაორი წლის წინ — თამამი, გაბედული და სიტყვაძუნწი... არ მინდოდა წყენინება, მაგრამ არც სხვისი მომღურება მინდა. რომ აუჩემებია ვენახი მაინცდამაინც როგორც მე მინდა ისე უნდა შევწამლოო, ხომ ხედავს, აგრონომი უარზეა, გაანებოს მაგანაც თავი, რას აიჩემა! კარგი და წაახდინა მთელი ვენახი, მერე რას აპირებს, მაგოდენა ზარალის გადახდის თავი აქვს? მე რა, ჩემზე რას იტყვიან? ახლოს არ გავეკარები ვენახს, სანამ შეწამვლა არ მორჩება“, — თავისთვის ჩაილაპარაკა თამარმა და სახლში შებრუნდა.

მარიამი შიშობდა, — ვაითუ, სხვებმაც მიღლატონ, მართალია, შემპირდნენ, მაგრამ არ წამომყვენო.

მერგოლურს, ალბათ, თავის სიცოცხლეში ისე არაფერი გახარებია, როგორც სიღო ღვედაშვილის და მარგალიტა ბეგიაშვილის დანახვა. სხვებიც მალე შეემატნენ მოლაშქრეებს.

ხარიაპარია...

შრომით დაღლილი მივდივართ, შეგვხედე, გავცდით ალაგეს, საწნახლეებთან მივიტანთ მტკენებით სავსე კალათებს. ხარიაპარია, რას უცდი, დამდეგა, გამოანათე.

ჩუმი ლაქა...

შუაღამეა. ვინ მიხმობს გარეთ?! ალბათ, მეძახის ის შორეული. ღრუბლის საგებზე ნანაობს მთვარე და თვლემს ვარსკვლავი ძიღმორეული. ახლა არ ისმის, როგორც იმჯერად შტოზე დარჩენილ ფოთლის შრიალი. არც ნაღვლიანი ჩონგურის ქლერა, არც შარავნაზე ურმის ჭრიალი. ცაზე არც ელვის განაკვეთისა, არც ჭაერს აკრთობს ხობზის ყვივილი. იქნებ, ეს ღამე ჩუმი ლექისია, ან შენზე ვიქირა — ტკიპილი ტკივილი.

იკინა უზვიარიძე



საღამომდე აპარატი არავის მოუხსნია ზურგიდან. ბრიგადირმა გვიან მოინახულა მევენახეები. რაღაც ჩაიბუზღუნა, ნამუშევარი აღრიცხა და წავიდა.

სოფელში გვიან დაბრუნდნენ მოლაშქრეები. ქანცამოლეული გოგი თარალაშვილი სუმრობის ხასიათზე დადგა.

— მარიამ, კარგი და ვენახი გაფუჭდა, ზარალის ანაზღაურებას რით აპირებ? მე აგერ ორსართულიან სახლს გადავდებ სამაგისოდ, შენ გაუმართავი სახლიდან რა იმდენი უნდა აიღო?

— ჩემი ქმარი ომში რომ მიდიოდა, ორიოდე კილო ოქრო დამიტოვა, ცოტას მაინც წამოგვშველება, როცა გაგიჭირდებაო.

სიღომ ხმამაღლა გაიცინა. სიღოს სიცილზე სხვებიც გამიხარულდნენ.

— სუმრობა თავისთვის იყოს და, მგონი გამოდარებას აპირებს. — თქვა მარიამმა.

ყველამ ცას შეხედა და მერგოლურს ნათქვამი დაუდასტურეს.

ყურძენი სიმწიფეში შედიოდა. ახლოვდებოდა

რთველი. გოდრების თადარიგს აქედანვე იჭერდნენ.

ქალები ვენახში ფუსფუსებდნენ. ბალახს აცლიდნენ ვაზის ძირებს, რათა მწკრივებში სიარული არ გაძნელებოდათ. საწყობიდან რამდენიმე სასწორი ჩამოიტანეს და ვენახის თავში დადგეს.

რთველი შემოდგომის ერთ მზიან დილას დაიწყო. მარიამის რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ 60-70 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა იმ დღეს. ვალდებულება რასაკვირველია შეასრულეს. არახელსაყრელმა ამინდებმა საშუალება არ მისცა მევენახეებს გეგმისთვის გადაემეტებინათ.

საღამოს მერგოლურს ჭიშკართან დედამთილი უცდიდა. ჩვევად ჰქონდა გადაქცეული მოხუცს, მოსალამოვდებოდა თუ არა, ჭიშკართან დადგებოდა და ვენახიდან მომავალთ ეკითხებოდა, ჩემი რძალი ხომ არ მოდისო!

დედამთილს მაინც არ წყინდა, რძალი რომ იგვიანებდა. შემოდგომაზე არ კითხულობენ დაღმების საათს სოფლად. ვენახებში სიცოცხლე დაუბრუნდათ ვაზებს. მარიამი გაცოცხლებულ ვაზებთან აღამებდა.

თ. შათირიშვილი

სოციალიზმი შეთი ავსოვლი?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდა მეგრელიძე ახალგაზრდობაში

„ჩვენ სწავლა გვინდა, მამა ჯოყოლა, სწავლაი!..“ უთხრა ხევსურმა გოგონამ — ბუბამ განრისხებულ მამას და ამაყად დაუდგა წინ.

ხომ წაგიკითხავთ ბავშვობისას ბუბასა და ლელას ამაღლებელი ამბავი? ხომ მათთან ერთად დაშვებულხართ მთებიდან ბარად, სწავლა-განათლებისათვის?! მირბოდნენ გოგონები მღვერის შიშით და ჩუმად იმეორებდნენ:

— სწავლა გვინდა, სწავლაი!..

ვინ იცის, ასევე ესევეწებოდა ამ მშვენიერი მოთხრობის ავტორი — ლიდა მეგრელიძე მამას — ისმიალ მამულაიშვილს, სწავლა მინდაო. მაგრამ მამამ თორმეტი წლის გოგონა ოზურგეთის საქალებო სასწავლებლიდან მაინც გამოიყვანა და უთხრა: „წერა-კითხვა კარგად იცი. ახლა ჭრა-კერვა ისწავლე“. და დედით თბოლი გოგონა დედის ოჯახს მიაკედლა, სოფელ აკეთში. არ ახდა მამის სურვილი. ჭრა-კერვის ნაცვლად, ლიდა ამ ოჯახში წიგნების კითხვას დაეწაფა, ილიასა და აკაკის ლექსებს, ბარათაშვილის „მერანს“...

თეთრი კაბით შემოსილი დაუბრუნდა ჩვიდმეტი წლის ლიდა მამის ოჯახს ოზურგეთში (დღევანდელი მახარაძე). თეთრად იყო გადაპენტილი ტყემლისა და ვაშლის ხეები. თალარში ტიროდა დედის მიერ გახარებული ვაზი. გაზაფხული ჰყვოდა საყვარელ გურიასი. მზეს გამოიყვანა გარეთ ახალგაზრდობა. ჭაბუკები. მომხიბვლელმა ქალიშვილმა ჩაიარა მათ წინ, სწორედ ისეთმა, როგორსაც სცენისათვის ნატრობდნენ. „ვენახთ, ვცადოთო“, — თქვენ ახალგაზრდა სცენისმოყვარეებმა და ლიდას როლი შესთავაზეს. გაწყრა დედინაცვალი, წარბი შეხარა ისმიალ მამულაიშვილმა, მაგრამ ახალგაზრდა გულმა თავისი გაიტანა. ამის შემდეგ არაერთ წარმოდგენაში მიუღია ლიდას მონაწილეობა. ხალხს უყვარდა ახალგაზრდა სცენისმოყვარენი, მთავრობა კი ეჭვით უშვებდა. ერთსადაიმევე დროს ლიდასთვის ყვავილებიც მიერთმევიათ და ბოქაულსაც უღრიდაო.

— ისმიალ მამულაიშვილო! — გადმოსძახა თურმე ბოქაულმა ნაკაშიძემ ლიდას მამას, — შენ გოგოს ვერ მოუვლი, ასე რომ აგიშვია?!

ვასო ურუშაძე, ალიოზა წუწუნავა, აქვსენტი მეგრელიძე, აი ეს ახალგაზრდები ტრიალებდნენ მამის ოზურგეთში, დგამდნენ პიესებს, მოგზაურობდნენ გურიის სოფლებში, მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს, ქმნიდნენ მომღერალთა გუნდს და სხვ. და ყველაგან ძათთან ერთად იყო ლიდა. გალობის მასწავლებელმა აქვსენტი მეგრელიძემ ხელი სთხოვა ლიდას. ცრემლით დაშორდა გოგონა საყვარელ და-ძმას, დაღვრემილ მამას, დედის საფლავს. ეტლმა ფოთისაკენ გააქროლა ახლადშეუღლებულნი...

შემდეგ?

შემდეგ ხმაურიანი საპორტო ქალაქი. ქალაქის კულში მოწყობილი პატარა სცენა. და ისევე თეატრალური ახალგაზრდობა. მუშუბისათვის დადგმული ყაზბეგის „არსენა“. ნინოს როლს ხალხური სიმღერების მოამავისა და მომღერლის — აქვსენტი მეგრელიძის მეუღლე ლიდა ასრულებს. მუშები, ფოთის ღარიბი მოსახლეობა ტაშით აჯილდოებენ ლიდას. იგი კი წარმოდგენის შემდეგ სახლისაკენ, გოგონასთან მიიჩქარის.

ვინ იცის, აკენის რიტმულ რწევასი დაიბადა ლექსის პირველი სტრიქონები. ვინ იცის, ბავშვის პირველ ტიტინში აიკინდა გულისსიმეირი რითმა? აკვანი კი ხუთჯერ დაირწა მეგრელიძეების ოჯახში. ხუთი ქალიშვილი გამოზარდა. ბედნიერმა დედამ. ამბობენ, ლიდა მეგრელიძე ცალი ხელით აკვანს არწევდა, ცალით ქვაბს ურევდა, თვალთ კი მაგიდაზე გადაშლილ წიგნს კითხულობდაო.

ლექსის სიყვარული ბავშვობიდანვე მოსდევდა. ერთხელ, სოფელ აკეთში ყოფნისას, პაწაწინა ლექსიც კი დაცდა თურმე მშობლიურ მდინარე სკურდომოზე:

„მიყვარს სკურდომო, რომ შენს ნაპირას
ვზივარ ფიქრებით გაბრემოცული,
მე გულში ჩაგტქერ და შენ კი ცალქო,
ჩხრილით მიჭრი გამალებული“...

მაგრამ ლექსებმა უფრო გვიან მიაკითხეს ლიდას. ანდა, სად ცხელი ლექსებისათვის! მის ოჯახში ტკბილად გაისმის „სულიკოს“ მელოდია, რომელიც ჩონგურისათვის აქვსენტიმ დაამუშავა. წერიალეს ჩონგური, ირხვევა მშობლიური, ხალხური პანგები, მაგრამ... გვიან, დამით, მგზნებარე სიტყვების ამ მელოდიაზე. აქ იკრებება საქმიანი ახალგაზრდობა, აქ იმართება ფარული კრებები... რევოლუციურად განწყობილი ოჯახი შეუნიშნავი არ დარჩა. ამიტომაც, 1906 წელს, სასტიკი რეპრესიების დროს, ლიდას ოჯახი ფოთიდან კვლავ სოფელს უბრუნდება. რა უშიშარია ეს სუსტი, ნაზი აღნაგობის ქალი! — მას თან მიაქვს ფოთის პორტის მუშათა ორგანიზაციის ხელის სტამბა. სოფელში ბეჭდავს პოკლამაციებს და ისევე პორტში ავრცელებს.

ლიდას იცნობენ, როგორც მოწინავე ადამიანს, თავდადებულ, გულს-სმიერ ამხანაგს. მას სიამოვნებით იღებენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფოთის არალეგალური ორგანიზაციის წევრად. ეს იყო დიდი ხნის წინათ, 1906 წელს... ჯერ კიდევ ბოლშევიკი დამსჯელი რაზმისაგან ცეცხლ-წაკიდებული გურია, საყვარელი ოდები, არ შენელებულიყო ჟანდარმერიის სასტიკი რეპრესიები, რეაქციას შავი ფრთები გაეშალა... ლიდას კი გული კვლავ მოძრაობისაკენ ეწევა. იგი იქაა, სადაც ცხოვრება დუღს, ტრიალებს. ხშირად წერს კორესპონდენციებს „დასული ქალისა“ და „ნამცეცას“ ფსევდონიმით. არსებს „ფოთის ქალთა საზოგადოებას“, საკვირაო სკოლას — წერა-კითხვის უცოდინართათვის და საღამოს კურსებს მცირეწლოვან ნოქრებისათვის. ყოველ საღამოს ჩამოივლიდა ლიდა მალაზიებს, ვაჭრებს ერიდებოდათ. ყოველასი და სკოლაში მამინევე უშვებდნენ ნოქრებს.

„ჩემს წინ მირბოდნენ პატარა ბიჭები ურჩამულით. ეს მე ისე მახარებდა და მადფრთოვანებდა, რომ სულ არ ვგრძობდი დაღლას. მკეროდა, კარგ საქმეს ვაკეთებდი. დაიზრდებოდნენ ეს ბავშვები და სასარგებლო ადამიანები გახდებოდნენ“. — იგონებს მწერალი ქალი. ფოთის მოსახლეობას უყვარდა ლიდა. ამიტომაც იგი, ეს ერთადერთი ქალი, აირჩიეს 1917 წელს ქალაქის დემოკრატიული საბჭოს წევრად.

რარეც გააკვირვა აქვსენტი მეგრელიძემ, როცა მეუღლემ გამოუცხადა: საშუალო განათლება უნდა მივიღოო.

— ჩქარა ჩვენი ბავშვები წავლენ სკოლაში, — სიცხილით თქვა აქვსენტიმ, — ბარემ მათთან ერთად ისწავლე!

— შეიძლება ასეც მოხდეს. რა არის აქ სათაკილო? სირცხვილი ის არის, რომ არაფერი არ ვიცი. — უპასუხა ლიდამ და მეცადინეობას შეუდგა...

ასეთივე გაკვირვებით შეხვდა დიდი ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ოცდათექვსმეტი წლის ლიდას, რომელიც კაბინეტში შევიდა მასთან და თხოვა: „მე მინდა უნივერსიტეტში შემოვიდე ისტორიის ფაკულტეტზე...“ უსმენდა დიდი მეცნიერი და იღიმებოდა: „არა უშავს, თქვენისთანა დაგვიანებული სტუდენტი მე სხვაც მყავს. ნუ გეშინიათ, დაგვხმარებით, ყველაფერში ხელს შეგიწყობთ...“ ეს იყო 1918 წელს. მეგრელიძეების ოჯახი უკვე თბილისის მკვიდრი გამხდარიყო. ახლა კი ეცალა ლიდას პოეზიისათვის.

ქართული პოეზია 1964 წელს

1964 წელს ახალი სილუეტები იქნება სხარტი, მოქნილი და ახალგაზრდული — ე. წ. „სპორტულ-ელეგანტური“. ხაზების; კონსტრუქციის მეტი სხვადასხვაობა, იაფი და ლამაზი ქსოვილებისაგან უბრალოდ და მოხერხებულად შეკერილი კოსტუმები.

სპორტულ-ელეგანტური ხასიათის იქნება საღამოს კაბებიც. ახალი ტანსაცმლის სტილის კარნახობს ცხოვრება, მისი აქტიური, შემოქმედებითი ტემპი.

დავიწყოთ კაბებიდან. უკვე კარგა ხანია მოდაში შემოვიდა კაბა — ფუტლარი. სილუეტის ეს ჭრილი ყოველ სეზონში იცვლება მოდის ცვლასთან ერთად. 1964 წელს კაბა-ფუტლარი იქნება თითქმის სწორი, მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოყვანილი წინიდან. კაბა-ფუტლარის ახალი, მსუბუქი ჭრილი ძალიან არ გამოკვეთავს სხეულს და ქალი ასეთ კაბაში გამოჩნდება უფრო მაღალი და ტანადი. ყოველდღიური ტანსაცმლის სილუეტები ოდნავ განსხვავებულია საგარეო კაბების სილუეტისაგან. გამოყვანილი კაბა-ფუტლარი ან კაბა-პრინცესა ვიწრო ლიფით და ფართო ქვედატანით ხელსაყრელია ყველა შემთხვევაში.

1964 წელს საზამთრო მოდაც პრაქტიკული იქნება. პალტო შეიკერება სქელი ქსოვილებისაგან, ხოლო დამატებითი კომპლექტები: თბილი შარფები და კაპიუშონები დაფარავენ თავს და მხრებს. მოდაშია ბეწვი, რომლითაც ხშირად აწყობენ კაბებსაც კი. ბეწვით იქნება გაწყობილი პალტო და ქაქეტი. ბეწვი მიეკერება საყელის, მანქეტებს, ჯიბეებს. თავზე ვიხმართ ბეწვის ქულს, ბერეტს ან ჩალმას.

მოდაში რჩება „რედინგოტი“ (ბოლოში ერთგვარად გაფართოებული ტანსაცმლის ჭრილი), ასეთი ჭრილი მოითხოვს განსაკუთრებულ შეკერვას. აგრეთვე მოდაში რჩება ვიწრო, სწორი კაბები, საყელოიანი და უსაყელო

პალტოები; ამ შემთხვევაში შეიძლება ვიხმართ შალი ან ბეწვი. საყელო იქნება საშუალო ზომის, გამოკვეთილი ჭრილით. შეიძლება გავიკეთოთ საყელო-შალიც. პალტო და კოსტუმი შეიზნევა ქაშრით, რომლის ბოლოები თავისუფლად გაიკვანძება ბალთით ან ბანტით.

ქაქეტების სიგრძე სხვადასხვაგვარია: აცვიათ ქაქეტები სრულიად მოკლე, ფიგაროს ჭრილით და ბასკებით ან უფრო გრძელი, ქაშრით. ჩვეულებრივ, მოკლე ქაქეტები შეადგენს საზამთრო ანსამბლის ნაწილს. მოდაში რჩება სამი მეოთხედი სიგრძის და, საერთოდ, მოკლე პალტოები.

სახელოების სამი მეოთხედი სიგრძე საგრძნობლად დამოკლდა, ამიტომ საჭიროა ხელთათმანები. მოდაშია როგორც მოკლე, ისე გრძელი ხელთათმანები. საგარეო კაბა შეიძლება უსახელო იყოს.

უკვე იმდენად მოდაში აღარაა ორნაწილიანი კაბა. დაბრუნდა დრო ელეგანტური საგარეო კაბებისა, რომელთა ჭრილი განსხვავებული იქნება პრაქტიკული კაბების ჭრილისაგან. საგარეო კაბები გაწყობილია ირიბი განებით და ნაოჭით, აგრეთვე სამკაულებით. მოდაში რჩება სხვადასხვა ბალთები, ბროშები და ქინძისთავები.

მნიშვნელოვნად ვიწრო დარჩა საღამოს კაბების ქვედატანები, ოღონდ საღამოს მორთულობის ქვედატანი შეიკერება ნაოჭაყრილი, პეროვანი ქსოვილისაგან: სილონი, ტიული, მაქმანი. გამოყვანილი კაბის სილუეტები მზადდება ტავტის, ფარჩის და ხვევრდისაგან. ლიფი და ქვედატანი შეიძლება შეიკეროს სხვადასხვა ქსოვილებისაგან, ლიფი-მაქმანისა და ფარჩისაგან. მოსართავად გამოვიყენებთ მძივებიან ნაქარგს. ელეგანტურ დამატებად საღამოს კაბებზე მოვისხამთ შარფს. საღამოს კაბების ფერი შავია.

13-დან 15-მდე წელიწადე



ასეთი „მოდის მიმდევარს“ შენიშვნა ფრთხილად უნდა მიეცეთ, რადგანაც ის დარწმუნებულია, რომ კარგადაა ჩაცმული და შეხარბობადაც კამათ-ყურება.

მაშ შოგორ ჩაიცვას მოზარდმა გოგონამ? დავიწყეთ საერთო სილუეტით.

სწორი ვიწრო კაბა და სწორი ქვედატანი გოგონებს არ უხდებათ, რადგანაც ტანის არაპროპორციულობას უფრო მკვეთრად აჩენს.

კაბის ზედატანი უმჯობესია იყოს არა გამოყვანილი, არამედ სრული. თქმის გასწვრივ ოდნავ დაბალი, თავისუფალი ქამრით. ქვედატანი ფართონაოჭაყრილი ან ნაკეცებიანი, ან კიდევ ქამრის ქვემოთ თანდათან ვაფართოებული (ნახ. № 1). გამოსასვლელი კაბისათვის შეიძლება შეირჩეს ფასონი წელის მაღალი ხაზით და ვაფართოებული ქვედატანით (ნახ. № 2).

გამოსასვლელ კაბას, რომელსაც მსუბუქად გაშლილი ქვედაბოლო აქვს, უხდება ნაკეცებიანი ფართო ქამარი. ასეთი კაბა მაღალი გემოვნების სილუეტს ქმნის.

უფრო მოზრდილ გოგონებს შეიძლება შევეკეროთ ქამრიანი კაბები, ტანის ბუნებრივი ხაზების ქრილით, მაგრამ არა ძალზე შემოჭერილი (ნახ. № 3).

გოგონებისათვის პრაქტიკული და ლამაზია სამაგრებიანი (ბრეტელეებიანი) კაბები, ასეთ კაბეზე შეიძლება სხვადასხვა კოფთების ხმარება (ნახ. № 7).

ყოველდღიურ სატარებლად კარგია კაბის შეკერვა ჟაკეტით, რომელიც ნაქსოვი კოფთის მაგივრობას გასწევს (ნახ. № 4).

როგორც გამოსასვლელი კოსტუმები, მოსახერხებელია კაბა მოკლე ჟაკეტით (ნახ. № 5).

გოგონებს უნდა ვასწავლოთ სახლში საშინაო კაბის გადაცმა. ამისათვის შეუკერეთ მათ საშინაო კაბა-სალათი, ზევიდან ქვემოთ ღილებზე შესაბნევი (ნახ. № 6). ყოველდღიური კაბის ტარება კარგია წინსაფრით (ნახ. № 8).

არ არის საჭირო ბავშვებისათვის ძვირფასი ქსოვილების ყიდვა. გოგონებს არ უხდებათ მიმიგ, ბრჭყვილა აბრეშუმი. მკერივი და სქელი შალეულისაგან შეკერილ კაბებში იკარგება მათი ნაზი, თხელი ფიგურა. ჩითის, სატინის, უჯრედებიანი შტაპელის, ზოლებიანი, კოპლებიანი და ნაზი ყვავილებით მოჩითული ქსოვილებისაგან შეკერილი ტანსაცმელი კარგია ზაფხულში. ხოლო თხელი შალისა და შოტლანდის შტაპელის უსახო „საკოსტუმე“ შტაპელისაგან შეკერილი ტანსაცმელი — ზამთარში. პალტოსა და კოსტუმისათვის გამოდგება ბუკლე და ჭრელი ქსოვილი. საზამთრო ტანსაცმელის საყულო შეიძლება გაკეთდეს ხელოვნური ბეწვისაგან.

ახალგაზრდობის საღამოებზე ჩასაცმელად გოგონებს შეიძლება შევეკეროთ კაბა ქარგილი ქსოვილისაგან თეთრ, ვარდისფერ, ცისფერ ან სხვაღია ფერის სარჩულზე.


ყველა კაბა ლამაზად დგას შიდა ქვედატანზე. განიერ, ფარფარი ქვედატანებს ასლა აღარ ატარებენ. განსაკუთრებით არ უხდება ის მოზარდ გოგონებს.

ფეხსაცმელი გოგონებმა ამ ასაკში დაბალქუსლიანი უნდა ატარონ.

ნ. კოლივოდა,
ხელოვნებათმცოდნე.

როსი ქალიშვილებისადმი მიბაძვა. მით უფრო, რომ იმ უფროს ქალიშვილებს თვითონვე სურთ რაც შეიძლება მალე გახდნენ დასრულებული ქალები. გოგონების ბუნებრივი მიდრეკილება ლამაზად ჩაცმისადმი სწორად რომ წარიმართოს, საჭიროა მშობლებს არ გამოეპართოთ მომენტი, როდის შეწყვიტონ მოზარდების ბავშვურად ჩაცმა.

ერთელ მე ვნახე დიდი, მსუქანი გოგონა, ძალზე მოკლე გამჭვირვალე კაბაში (შიდა ქვედატანის გარეშე, საიდანაც ამ ჩაცმულობისათვის შეუფერებელი საცვალი მოუჩანდა. ასეთ მორთულობაში ის გამოიყურებოდა არა მარტო მახინჯად, არამედ უხერხულადაც. გამოიკვია, რომ დედა გოგონას ჯერ კიდევ ბავშვად თვლიდა და ამიტომ გამოაწყობავს ბავშვურ ტანსაცმელში.




წლოვანება 13-დან 15-მდე ცნობილია გარდამავალ ასაკად. სწორედ ამ პერიოდში ხდება გოგონებისა და ბიჭების არა მარტო სასიათის ჩამოყალიბება, არამედ მათი ფიზიკური ფორმირება.

მოზარდი გოგონები თუმცა ჯერ კიდევ არ განაწინამდვილ ქალიშვილებს, მაგრამ თანდათანობით კარგავენ ბავშვურ იერს. სხეული უფრო იკვეთება, ხელები და ფეხები არაპროპორციულად გრძელდება, ტანით კი ისევ დაბლები არიან და მხრებში იხრებიან. გოგონები ამ დროს საშინლად მორცხვობენ, აღარ იციან „სად წაიღონ“ ხელები. ერთი სიტყვით, მათ საქციელში გადაჭარბებული უხერხულობა იგრძნობა.

მოზარდ გოგონას სურს რამდენადაც შეიძლება ლამაზად ჩაიცვას, რადგანაც ამ ასაკში უკითარდება მას ესთეტიკური გემოვნება და კოსტაობის სურვილი. თუ მშობლები ამ პერიოდში შეძლებენ ბავშვში გემოვნება და კოსტაობისადმი მიდრეკილება განავითარონ, ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგება ქალს.

13-დან 15 წლის ასაკში გოგონებს უჩნდებათ სურვილი უფრო ლამაზი გამოჩნდნენ, მაგრამ ჯერ არ ესმით როგორ მიაღწიონ ამას. ამიტომ მათ ყველაზე იოლ საშუალებად მიაჩნიათ უფ-

ანდა, ხშირად ნახავთ მოზარდ გოგონას „ქალიშვილივით“ გამოწყობილს. ამ შემთხვევაში გოგონას საკუთარი ინიციატივა ჩანს, რომელიც ვერ შეუკავებია და სწორად ვერ წარუმართავს დედას. ჩაფსკენილი გოგონა მოკლე, ცუდად გამოჭრილ ვიწრო ქვედატანში, შემოჭერილი ქამრით, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, „მოდის მიხედვით“ გაწყვილი თმით, სასაცილო სანახავია.



ՀԱՅԿՍՏԱՆԻ
ՆՈՅՆԱՐԴՈՒՅՑՆԵՐ



6



4

5

8



საგარეო ურთიერთობების მინისტროს საინფორმაციო ცენტრის გვერდითი განყოფილება

საგარეო ურთიერთობების მინისტროს საინფორმაციო ცენტრის გვერდითი განყოფილება

<p>თარგმანების სარედაქციო მუშაობების ხელშეწყობის კატეგორია</p> <p>1 8 15 22 29 2 9 16 23 30 3 10 17 24 31 4 11 18 25 5 12 19 26 6 13 20 27</p>	<p>საინფორმაციო ცენტრის გვერდითი განყოფილება</p> <p>1 8 15 22 29 2 9 16 23 30 3 10 17 24 31 4 11 18 25 5 12 19 26 6 13 20 27</p>	<p>საინფორმაციო ცენტრის გვერდითი განყოფილება</p> <p>1 8 15 22 29 2 9 16 23 30 3 10 17 24 31 4 11 18 25 5 12 19 26 6 13 20 27</p>	<p>საინფორმაციო ცენტრის გვერდითი განყოფილება</p> <p>1 8 15 22 29 2 9 16 23 30 3 10 17 24 31 4 11 18 25 5 12 19 26 6 13 20 27</p>	<p>საინფორმაციო ცენტრის გვერდითი განყოფილება</p> <p>1 8 15 22 29 2 9 16 23 30 3 10 17 24 31 4 11 18 25 5 12 19 26 6 13 20 27</p>	<p>საინფორმაციო ცენტრის გვერდითი განყოფილება</p> <p>1 8 15 22 29 2 9 16 23 30 3 10 17 24 31 4 11 18 25 5 12 19 26 6 13 20 27</p>
---	---	---	---	---	---





იჯდა და წერდა. აგონდებოდა გურიის მთები, შქერითა და თხილით შემოსილი ეზო. მაღლარზე გასული მამა, საწნახელს დახვეული ფუტკრები, ოქროსფერი ყანები და დედა, ადრე დაკარგული დედა. აგონდებოდა ბუნებისპირს ჩაფიქრებული, ხანშიშესული მოჯამაგირე დავითი, ქალამნებშემოცვეთილი, საწყალი გლეხი შაფარდენა მუჯირი... ახლა ახალ ცხოვრებას უმღერდა ლიდის გული, შვილებს შოი მღვიმელისა და აკაკის ლექსებთან ერთად საკუთარ ლექსებსაც უკითხავდა:

„გაფრინდა ქეთოს მერცხალი,
აღარ ჭიკჭიკებს ბანზედა,
ქეთო მოწყენით გაპყურებს,
ცრემლი უბრწყინავს თვალზედა...“

„ქეთოს მერცხალი“ ბავშვთა საყვარელი ლექსი გახდა. მასზე რამდენიმე თაობა აღიზარდა. ასევე, უყვართ სორჩებს ლექსები: „ჩემი ბურთი“, „ენძელა“, „ია“ და პატარა პოემა „ბრიყვი ყურწყაპუნა“. უყვართ, რადგან ლიდია მეგრელიძის ლექსები სადაა, უბრალო და გულწრფელი. ეს ლექსები თითქოს თავისთავად მღვიმიან და შენც სასიმღეროდ გიწვევენ. ამიტომაც ბევრმა კომპოზიტორმა მოუნახა ლიდის ლექსებს მელოდია.

ხშირად, როცა ცელქობით დაღლილი პატარები დედას გარს შემოუსხდებიან, დედა აიღებს ლამაზად გაფორმებულ წიგნს და უკითხავს შვილებს

ფარციკუკუსა და ფარცადანას იგავს, პეპლებისა და დედოფლების ამბავს, ბუბასა და ლელას მომხიბვლელ თავგადასავალს.

— მწერალი ლიდია მეგრელიძე! — ამბობენ ბავშვები.
— ნეტავ როგორია იგი?

მას წელს 80 წელი შეუსრულდა. თმა მთლად თეთრი აქვს. ჭკვიანი თავლისფერი თვალებით შემოგყურებთ და დიდი ინტერესით გესაუბრებათ ყველაფერზე: ხელოვნებაზე, პოეზიაზე, ამინდზე, წარსულზე, აწმყოსზე... გინდათ უფრო მეტი გაიგოთ მის შესახებ? მაშინ აიღეთ მისი წიგნები, გადაიკითხოთ მისი მშვენიერი პატარა მოთხრობები, თითოეული მათგანი ხომ მწერალი ქალის გულის ნაწილია, მისი ცხოვრების ანარეკლი. ლიდია მეგრელიძეს ხუთი შვილი ჰყავს, შვილიშვილები და შვილთაშვილებიც და ყველასათვის იცლის მისი მოსიყვარულე გული. იგი სხვა ბავშვებსაც არ ივიწყებს.

— რა ჰქვია თქვენს ბიჭუნებს? — შეკითხება დიმილით და წარწერას უკეთებს ლამაზყდიან წიგნს.

წიგნს მხოლოდ გზაზე ვხსნი:

„საყვარელ პაწაწინებს, ჩემს მომავალ მკითხველებს — გიოსა და ოთარს“.

და მე ვოცნებობ იმ დროზე, როცა ჩემი პაწაწინებიც ამ წიგნს გადავლიან, წაიკითხავენ და მეტყვიან: — დედა, როგორია მათი ავტორი?

ნაზი კილასონია

საბოლოო პერსონაჟი

ახლა ყილაფერზე შეიძლება ფიქრი...

საღამო ხანია. ელზა ზის ღია ფანჯარასთან. ფანჯარიდან შემოდის გრილი, ნაწვიმარი ჰაერი და ფანჯრის რაფაზე იმსხვრევიან წვეთები.

ირგვლივ სიჩუმეა. დედამიწას ნელა ეფინება ბინდი. გარშემო ტრიალი მინდორია. მხოლოდ შორს, აღმოსავლეთით, ნისლიანი ჰაერის ფონზე მოჩანს ელექტრონათურები. იქ მდებარეობს ახალი, ლამაზი ქალაქი რუსთავი.

სამუშაო დიდი ხანია დამთავრდა. ოჯახშიც ყველა საქმე მოთავებულა. ახლა შეიძლება ყილაფერზე იფიქრო დადამიანმა — წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

და ფიქრობს ელზა თოდუას, სამგორის საჯიშე მეფრინველეობის მეურნეობის მოწინავე ბრიგადირი. ფიქრს მშობლიურ ზუგდიდში გადაჰყავს, სადაც ტპილი ბავშვობა გაატარა. იქ დაჩრბა ბავშვობა, ბავშვობის მეგობრები და საშუალო სკოლის მოუბრუნებელი ხანა. იქ ოცნებობდა უმადლეს სასწავლებელზე.

აბა, მაშინ რა იცოდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სამგორის მეფრინველეობის მეურნეობაში მოუხდებოდა მუშაობა და ცხოვრება. მაშინ ზოგიერთები ეუბნებოდნენ, რა ქალის საქმეა ზოტქპ-ნიკორი ფაკულტატიო, მაგრამ ელზას არავისთვის მიუქცევია ყურადღება.

სტუდენტობისდროინდელი დღეები კი არავის შეუძლია აუღლევებლად გაიხსენოს. მით უფრო ელზა თოდუას.

მას აგონდება მშვიდი საღამოები, ლამპიონებით განათებული ქუჩები და თბილისური გაზაფხული,

რომელიც დაკარგული სიყვარულისა და ოცნების მოგონებას იწვევს.

მას უნდოდა ყოფილიყო მეუღლე, ჰქონოდა ოჯახი, მაგრამ არ გაუმართლდა. გული მინც არ გაუტეხია. ზოგიერთივით სასოწარკვეთილებას არ მისცემია. იცოდა, მის გვერდით იყვნენ ადამიანები. იგი სტუდენტიც იყო და დედაც. ახლა ცხოვრება უფრო მეტს ავალბებდა, უფრო მეტ ძალასა და ბრძოლის უნარს უნერგავდა.

1954 წელს, როგორც კი დაამთავრა ელზა თოდუამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკაში წაივდა სამუშაოდ. 1959 წელს იგი სამგორის საჯიშე მეფრინველეობის მეურნეობაში გადმოვიდა სადღეე საამქროს ბრიგადირად. მალე მიეჩვია ელზა აქაურობას, აქაურ ხალხს, აქაურ კოლექტივს, აქაც დაამტკიცა მან თავისი კაი ქალობა, აქაც მოწინავეთა რიგებში დაასახელეს, დაუფასეს შრომა და მიზიდომება.

მეოთხე წელია ელზა თოდუას ბრიგადის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი მიენიჭა. ბრიგადის ყოველი წევრი ცდილობს არ შეარცხვინოს ეს საპატიო წოდება. შარშან ნახევარი წლის გეგმით ბრიგადას უნდა მიეღო ორი მილიონ სამასი ათასი ცალი კვერცხი და 15 ტონა ხორცი, მიიღო ორი მილიონ ოთხას ათი ათასი ცალი კვერცხი და 15,8 ტონა ხორცი.

1962 წელს საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა მეფრინველეობაში მიღწეული წარმატებისათვის ბრიგადის წევრები — მ. გოლოლოშოვა, თ. წიკლაური, მ. მამათავრიშვილი და ბრიგადირი ელ. თოდუა საპატიო სიგელებით და-




აჯილდოვდა. აგონდება ეს ქალს და კვლავ დიმილი ეფინება სახეზე.

დერეფნიდან ესმის ელზას ბიჭის ყიყინა. ცელქობით მოდის მისი შვილი, მოკლე ნაბიჯებით უახლოვდება ოთახის კარს და მოაქვს დიდი სიხარული.

ს. დემურხანაშვილი

კეთილი



ბიჭი

ნამდვილი ამბავი

მხატვარი ო. ჩხარტიშვილი

სუთს მნ წუთი აკლია...
დღეს ფეხბურთია, მოსკოვის „სპარტაკი“
და ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობენ.

მოსახვევიდან თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი
გამოვარდა. გაოფლიანებული, აწითლებული
ლოყებით მიიჩქარის სტადიონისაკენ. მალა-
ლი სწორი ტანი აქვს. შავი წამწამებით დაჩ-
რდილული ლურჯი თვალები. ბოლო ხანებ-
ში ეტყობა სწრაფად აუყრია ტანი, შარვალი
დამოკლებია და ჭიბეშიც ხელი არ ეტევა.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან მიხურულ
კარებს მიუსწრო. ფანჯარაში ვიღაც ბიჭმა
ნიშნის მოგებით ენა გამოუყო: შენ რჩები,
მე-კი მივდივარო.

გაბრაზებულმა სირბილით განაგრძო გზა...
ჭიბეზე წაივლო ხელი, შიგ ფეხბურთის ბი-
ლეთი უდევს. ბილეთი გუშინ ზურამ დაუ-
ტოვა, თვითონ იგი მამამ ქობულეთში წაი-
ყვანა.

„სულელი! ზღვაში ბანაობას ფეხბურთის
ყურება არა ჯობია?!“

...ქუჩები თითქმის დაცარიელებულია.
მსუბუქი მანქანა თუ გამოჩნდება ზოგჯერ
დაგვიანებული ფეხბურთის მოყვარულებით.
ბიჭმა მოუხვია და სწორ ქუჩას დაადგა. გარ-
კვეთი ესმის ზღვანახლის გნიასი. მგონი
ჯერ არ დაწებულა.

უცარიელ ქუჩაზე, მოპირდაპირე მხარეს,
ვიღაც მამაკაცი გამოჩნდა, ქუჩა გადმოჭრა
და ნაბიჯი შეანელა. მოულოდნელად შებარ-
ბაცდა, ცალი ხელით კედელს მიეყრდნო.

„აღმათ, მთვრალია! რამ დააღვივინა ამ
შუადღისას.“ — გაიფიქრა ბიჭმა. ოფლიანი
შუბლი შეიწმინდა და გზა განაგრძო. როცა
შემხვედრს გაუსწორდა, ცალი თვალი მისიკენ
გააპარა.

მამაკაცი თვალები დახუჭული ჰქონდა, ხა-
ხე—გაფითრებული. მძიმედ სუნთქავდა, ერ-
თი ხელი კედლისათვის მიეხრინა, მეორეთი
კი ცდილობდა ხალათის საყელო გაეხსნა. ძა-

ლაგამოლეული ხელით ვერ ახერხებდა ღე-
ლის შესხნას. ბიჭი შეჩერდა და დააცქერდა.
მამაკაცი ცრემლჩამდგარი თვალებით სად-
ღაც შორს იყურებოდა.

არა, ეს არ იყო მთვრალი კაცის უაზრო
თვალები, იგი სავსე იყო ტკივილითა და ში-
შით.

ბოლოს, აცხცახებული ხელით ძლივს-
ძლივობით შეიხსნა საყელო, დაღლილი
მკლავი მოწყვეტით ჩამოუვარდა.

მამაკაცმა თვალები დახუჭა, მაგრამ ისევ
სწრაფად გაახილა, ბიჭს დააცქერდა; თით-
ქოს ეშინოდა მხედველობიდან არ დაჰკარ-
გვოდა იგი. ბიჭი გაუნძრევლად იდგა, წას-
ვლა უნდოდა, მაგრამ მონუსხულებით ადგი-
ლიდან ვერ იძროდა.

მამაკაცი მძიმედ სუნთქავდა. ყოველ ამო-
სუნთქვაზე მთელი სხეული კვანძით ერხე-
ოდა. უცებ დახუჭული ხმით ამოთქვა:

— მიშველე, შვილო... იქნებ როგორმე სა-
ხლამდე მივიღე. ახლოს ვცხოვრობ...

ბიჭი შემობრუნდა, უხმოდ შეუდგა მხრე-
ბში მამაკაცს. იგი მძიმე იყო, ბიჭი კი სუს-
ტი და გამბდარი. უცნობი ცდილობდა მსუ-
ბუქად დასწოლოდა მის მხრებს.

ბიჭი ჩქარობდა. ხედავდა, როგორ შორ-
დებოდნენ ნელნელა სანატრელ ადგილს...
შორიდან ფეხბურთის მარშის ხმა შემოეს-
მა... სამსართულიანი სახლის წინ შეჩერდ-
ნენ.

— გული მაქვს ცული. დროზე არ მივაქ-
ციე ყურადღება და ნახე რა მიყო! — ძლივს
ამოიკვნესა მამაკაცმა.

„ნ. ჩხეიძე“—ეწერა კარებზე მიმაგრებულ
ფირფიტას. ოთახიდან დახუთული ჰაერი
ეცათ სახეში. მამაკაცი მოწყვეტით დაეცა
ფართო დივანზე. ბიჭი ფეხზე იდგა.

— ისევ აქა ხარ?

— თქვენებს დაველოდები, — თქვა ბიჭმა
და თვითონვე გაუკვირდა, რომ ასე მოიქცა.

— არავინ არ მოვა... — მისუსტებული
ხმით სთქვა მამაკაცმა. — ისინი წავიდნენ
ჩემგან.

ბიჭს შეეცოდა ეს უღონოდ მიწოლილი
ჭალარა კაცი.

— ექიმთან გავიქციევი.

— არ გინდა... ცოტას დავისვენებ და გა-
მივიღის.

წამოიწია, მაგრამ ისევ მოცელილებით და-
ეცა დივანზე.

— მეორე ოთახში ტელეფონია...

ბიჭმა კარზე ჩამოფარებული ფარდები გა-
დასწია და ოთახში შევიდა. დამტვერილი
პიანინო, თამბაქოს ფერფლით სავსე მაგიდა,
გაშლილ სახაზავ დაფაზე მიმოფანტული ნა-
ხაზები.

„ინჟინერი ყოფილა“.

საწერი მაგიდის თავზე ბუთხუზა ბიჭის
სურათი ეკიდა.

ყურმილი აიღო. ტელეფონი სდუმდა. „გა-
მოთიშულია“. მაგიდის კუთხეში მეშვიდე
კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო ეგ-
დო. გარეკანი დალაქავებული ჰქონდა და
ზედ მსხვილი ასოებით ეწერა: „ამირან ჩხე-
იძე“.

აღმათ, მისი შვილისაა, რა თხუზნია ყო-
ფილა!

ბრაზიანად გახედა ბუთხუზა ბიჭის სუ-
რათს და გამობრუნდა.

მამაკაცი გაუნძრევლად იწვა.

— ჩაეძინა... თუ?

მიუახლოვდა და ათრთოლებული ხელი მა-
ჯას შეახო.

— ბიძია, ბიძია...

ავადმყოფმა წამწამები შეარხია...

ტელეფონის ჭიხურში ორი გოგონა ხმამა-
ღლა კისკინებდა.

ბიჭი კარებს მივარდა. გოგონებმა ზურგი
შეაქციეს.

— გამოდით, ჩქარა დამთავრეთ! — შე-

უყვირა ბიჭმა. გოგონებმა უფრო არ ათხოვეს. ძალით გამოაღო კარი და გოგონას ყურმილი გამოსტაცა.

— სასწრაფო დახმარებაა. — გაიხმა ქალის მშვიდი ხმა. ამ სიმშვიდემ მოთმინებიდან გამოიყვანა ბიჭი.

— იქ ავადმყოფია, კვდება...

— კვდება? მისამართი?

— მისამართი!

მისამართი არ იცის.

და პირველხავე მანქანას გზა გადაუღობა. თვლებმა საშიშრად დაიღრქიალეს...

— კაცო კვდება...

— სად?!

სწრაფად მოწყდა მანქანა ადგილს...

— ექიმო, ამ ბიჭს მამა უკვდება!

ავადმყოფი საკაცოთ გაიყვანეს.

„აი, წაიყვანენ ახლა და ვერასოდეს ვერ ნახავ“.

— შენ კიდევ აქა ხარ, კეთილო ბიჭო?!

— ჩაქმა მას ავადმყოფის ჩურჩული.

მანქანა დაიძრა.

ბიჭი უძრავად დარჩა იმავე ადგილზე.


ქუჩაში ბიჭები გამოჩნდნენ.

— რას ამბობ, ჩვენი გუნდი დღეს გასაგებებლად თამაშობდა...

„დამთავრებულა“. — გაიფიქრა ბიჭმა.

დერეფანში სიჩუმე იდგა.

მოპირდაბირე კარიდან თეთრხალათიანი ექიმი გამოვიდა და კარბთან უხმოდ ატუზულ ბიჭს შეხედა.



— რა დაემართა?

— გული... — პასუხობს ბიჭი.

შინით შეაღო ბიჭმა ოთახის კარი. მამაკაცი გაუნძრევლად იწვა.

— ხომ არ მომკვდარა? — კვლავ გაუელვა საშინელმა აზრმა.

ექიმმა მაჯისცემა გაუსინჯა და ბრძანა: — სასწრაფოდ საავადმყოფოში!

სიბრაზე განუახლა იმ ბუთხუზა ბიჭმა, მეორე ოთახში სურათიდან უდარდელად რომ იყურებოდა.

— დოკლაპიავ, მამა დატოვე და სად წადი? უჭირს და შენ სადა ხარ, თფუ! მე რომ მამა მყოლოდა, არასოდეს არ მივატოვებდი.

— თქვენთან მოიყვანეს ავადმყოფი ჩხეიძე?

— დიახ. შენი მამაა? ახლა არ შეიძლება მისი ნახვა...

— მოითმინე, ბიჭუნა, — დაედევნა კიბეებზე ექიმის ხმა, ეტუხოლოდა შეაწუხა ცუდად ნათქვამმა.

— ნუ გეშინია, მოვარჩენთ!

— როდის ვნახავ... როდის გამოსწერთ?

— მალე... მალე...

— უთხარით, კეთილი ბიჭი კიდევ მოვატოქო!

ლეილა მისხნი

ქ. ქუთაისი.



ნუნუ კირსელიძე

ნაბღის ქერი

ეს ყინულის ლოლუები
ამშვენებენ სასურავს,
თითქოს სახლებს ფორიანი
ნაბღის ქული ახურავთ.

მეზობლია

სანავარდოდ, სათამაშოდ
არა ჰყოფნის ეზო ლიას,
მეზობლებში შესვლა უყვარს
და დავარქვით მეზობლია.

ზოოპარკში

ჩიტს ბარტყები დასტყუე,
ქათმებს მიჰყავ ხელია.
იმიტომაც ჩაგკეტეს,
ქურდბაცაცა მელია.

გაუღებს ვუვილი

ტუფლებს ვუვილი, ვუვილი, ვუვილი,
მაინც არის დახეული,
თხა-ბეკეკა სად არ ძვრება,
მისი ტუფლი რად არ ცვდება?

გზის პირებზე ასკილია,
გოგონები გაჰკვივიან:
„ალათაო, ბალათაო,
სულ გაგავსეთ კალათაო.“

შენზე საჩივარია,
კვერცხს ნუ ჰკარგავ, ვარია,
ამ სახლის ქვეშ რატომ დებ?
ავერ, საბუღარია.

დღეს ხომ ბევრი ირბინე,
ახლა დაწექ, ვარია,
ფეხზე რატომ იძინებ?
სწორედ საოცარია.

აფეთქება



მსაიზი

მხატვარი ნანა მესხიძე

მძიმედ დათაღებული მანდილოსანი აფთიაქში შევიდა. რიგი არ ითქმოდა, მაგრამ მაინც მოცდა მოუხდა.

ფარმაცევტი მარტო იყო, მოლარე ავად გახლმოდა, თვითონვე იღებდა წამლების შეკვეთასაც, ფულსაც იქვე ახდევინებდა და მზა წამლებსაც თავად ისტუმრებდა. ამიტომ იყო, ალბათ, რომ სწრაფად ვერ მუშაობდა, მომსვლელთ აუოვნებდა.

ძაძებიან ქალს სახე არ უჩანდა, მწუხარებას მისცემოდა. ორი თვეა მეუღლე სამარეს მიაბარა, მისი ყრმობის მეგობარი, შვილების მამა, ოჯახის შუქი, ოცდახუთი წელი ედგა მხარში, ოცდახუთი წელი იყო ამაყი, ბედნიერი... ახლა კი ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს განგებას მხოლოდ ის გამოერჩია, ის ამოეღო თვალში და ყველასაგან განსხვავებით მხოლოდ მისთვის დაეტეხა უბედურება თავს. ნუგეში უადგილო და ზედმეტი იყო მისთვის. დღესაც, სანამ თავის წამლისთვის წამოვიდოდა, ჭერ სასაფლაოზე წავიდა, თითქოს მოუბოდიშა მეგობარს, რომ საკუთარი ჯანმრთელობისათვის მოიცალა.

ტრამვიდან რომ გადმოდიოდა, ფეხსაცმლის ქუსლი გამოსდო კაბის ქობას და ჩამოეხა, მაგრამ არც ეს ჩაუგდია არაფრად, ასევე შევიდა აფთიაქში.

— პენიცილინი მომეცით, — მოესმა ქალს ხვერდოვანი ხმა და უცებ ასწია თავი. მის წინ მდგომი მამაკაცი მიახლოვებოდა ფანჯარას და ის ლაპარაკობდა.

— თითო შუშაში ხუთი მილიონია, — გაიგონა პასუხიც.

— მაშინ ექვსი შუშა იყოს, — განაგრძობდა მომხიბლავი ხმა.

ქალმა მამაკაცი შეათვალიერა. რაღაც გაახსენა ამ ხმამ, მაგრამ სახემ ვერაფერი უთხრა. საუბარი გრძელდებოდა.

აი, მან ფულის გადასახდელად ხელი ჭიბისკენ წაიღო, გარეგნობა, ხმა, ხელების მოძრაობა, ღიმილი... რატომ არის ასე ნაცნობი ყოველივე და ამავე დროს ვინ შეიძლება იყოს ეს კაცი? სახეში მი-აჩერდა.

ამასობაში მამაკაცმა პენიცილინის შუშები ჭიბეში ჩაიწყო და აფთიაქიდან გავიდა. საგონებელში ჩავარდნილმა ქალმა თვალი გააყოლა.

— შემდეგი — მოესმა ფანჯრიდან და ფიქრიდან გამოერკვა. მანდილოსანმა აჩქარებით გაუწოდა რეცეპტი და თვალი გააპარა ახლანაგამ გამოწერილ ქვითრისაკენ.

ფიქრიშვილი — ამოიკითხა და თითქოს გონება გაუნათდა.

„ესტატე! ესტატე!“ — უპასუხა თავის ფიქრს. უცებ გაახსენდა ყოველივე. ჭერ კიდევ მოსწავლე იყო, როდესაც ესტატეს ხედებოდა ამხანაგის ოჯახში. იგი იმ ამხანაგის უფროს ძმასთან ერთად სწავლობდა, ერთადვე მეცადინეობდნენ. ხშირად პატარა გოგო-

ნებსაც გაუყადრებდნენ ხოლმე თავს და მაშინ ცა უწითლდებოდათ ბავშვებს, აქაოდა, მარაქაში გავერიეთ, სტუდენტებმა გვიკადრესო. მერე...

მერე, აღარც კი ახსოვს როგორ დაშორდნენ, საით წავიდა ესტატე, მაგრამ მისი ხვერდოვანი ხმა და მანერები, ეტყობა, თავისთავად ჩარჩენია მესხიერებაში. სახეზე კი სულ შეცვლილა, ან იქნებ არც შეცვლილა და ასე მოეჩვენა... თუმცა, მის სახეზე არასოდეს უფიქრია და ვინ იცის, იქნებ ასეთი იყო მაშინაც... ასე თუ ისე, ახლა უთუოდ დაელაპარაკებოდა. თანაგრძნობისათვის კი არა, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი უბედურება გაეზიარებინა. როგორი დიდი სიამოვნებით გაესაუბრებოდა... შეახსენებდა თავს... მაგრამ სად არის ნეტავ? სად მუშაობს!...

თვითონაც ვერ გაეგო, რად ებადებოდა ასეთი კითხვები. წამლის ფული როგორ გადაიხადა, არ ახსოვს, ქუჩაში მიმავალიც ესტატეზე ფიქრობდა.

არ გამკვირვებია.

მართალია მას ამკვეყნიურ უბედურებათაგან არაფერი დაჰკლებია, ცხოვრების ბორბალს უმოწყალოდ გადაეგლო, მაგრამ სადღაც დარჩენილიყო ცოცხალი ნერვი, რომელიც ახლა წამოყელყელავი-ბული, თავისას იხსოვდა, ეს ნერვი იყო რომ ფეთქავდა.

ელენე გოგოლაშვილი



კეთილი ელსია

ამბავი იწყება 1956 წლის თებერვლიდან. მოქმედების ადგილია კენია (აფრიკა).

მონადირე ჯორჯ ადამსონმა ტყეში ლომის ბუნავი იპოვნა, სადაც სამი ბოკვერი იყო. ბოკვერების აღზრდა იკისრა მისმა მეუღლემ ჯომი. ხუთი თვის შემდეგ მათი გაჩერება სახლში აღარ შეიძლებოდა, ამიტომ ორი როტერდამის ზოობარკს გადასცეს, ხოლო ყველაზე პატარა, რომელსაც ელსია შეარქვეს, ადამსონების ოჯახში დარჩა. ასე დაიწყო ლომისა და ადამიანების მეგობრობა. ჯომი ადამსონმა რამდენიმე წიგნი დაწერა ელსიას შესახებ. რომლებიც გამოცემულ იქნა ბევრ ენაზე. ამით ელსიამ მსოფლიოში სახელი გაითქვა. აი, ზოგიერთი საინტერესო ადგილი ამ წიგნებიდან:

„პატარა ელსია მეტად ცელქი იყო. დასდევდა შინაურ ცხოველებს, ფრინველებს, ხოლო მეზობლის ნაგავებს მისგან მოსვენება არ ჰქონდათ. ჩვენი მოსამსახურე ზანგი ნურუ და ელსია დამეგობრდნენ. ნურუს თოფი დაჰქონდა თან გარეული ცხოველების დასაფრთხობად. ელსიაში თანდათან იღვიძებდა მონადირის ინსტიქტი: აღიოდა ხეზე, ილესავდა ბრჭყალებს, მიეპარებოდა ანტილოპებს ან ფეხმარდ ქურციკებს და მათთან ერთად თამაშობდა.

მტაცებლის ინსტიქტი მასში ჯერ მთლიანად არ იყო გაღვივებული, მაგრამ მათრახი მაინც თან დაგვქონდა. ელსიას ესმოდა რას ნიშნავდა სიტყვა „არ შეიძლება“ და როგორი კარგი საკმედიც არ უნდა ყოფილიყო, პირს არ დააკარებდა.

ჩვენი სახლის გარშემო ბევრი იყო გარეული კამეჩი, ძირაფი, მელია და მათ ელსიასი არ ეშინოდათ. საინტერესო იყო ელსიას სპილოსთან შეხვედრა; სპილოებს ხომ ლომები ევაჯარებათ და სწრაფად უსწორდებიან მათ.

ერთხელ ალიონზე ნურუმ მოიბრძინა და გვითხრა: ელსია სპილოს ეთამაშებოდა. თოფები ავიღეთ, გავექცით და დავინახეთ საინტერესო სურათი: სპილოს თავი შეეყო ბუჩქებში და ხილს მიირთმევდა. ელსია მიეპარა მას და ფეხზე უკბინა. სპილომ დაიღმუვლა და შეტრევაზე გადავიდა. ელსია გან-

ზე გახტა და შემდეგ კვლავ გაიმეორა თავისი ცელქობა. მალე ასეთი თამაში ორივეს მოებზრდა, სპილომ განაგრძო ჭამა, ელსია კი იქვე მიწაზე გაიშხლართა.

ელსიას ყველაზე მეტად კუსთან თამაში უყვარდა. უნდა გენახათ როგორ აბურთაებდა საცოდავ კუსს. საღამოს ელსიას ვუმასპინძლდებოდით უმი ხორციტ. დანაყრებული ელსია დაძინების წინ გამუდმებით წოვდა ჩემი ხელის ცერს.“

ადამსონები ისე მიეჩვივნენ ელსიას, რომ მის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ მალე დაღვებოდა განშორების დრო.

ელსია რომ 27 თვის გახდა, ჯომი და ჯორჯი დაფიქრდნენ, არ იცოდნენ როგორ წარმართათ მისი აღზრდა.

ცნობილია, რომ ადამიანის მიერ აღზრდილი ნადირი ვერ ეგუება თავის თანამომკმეებს, მას აუცილებლად მოჰკლავენ, რადგან ადამიანის სუნი ახლავს. მიუხედავად ამისა, ადამსონებმა მაინც გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ ცდა: გაეცნოთ ელსია გარეული ლომებისათვის და დაეტოვებინათ მათ „საზოგადოებაში“. მაგრამ ეს ადვილი როდი იყო. სამი თვის განმავლობაში ელსიას ასწავლიდნენ ნადირობას და ბოლოს, ცდამ ნაყოფი გამოიღო. იგი ტყეში გაუშვეს.

„უკვე, თითქმის გატყუარებული ელსია ჩვენს ძახილზე მოდიოდა, გვეფერებოდა, გვლოკავდა.“

განსაკუთრებით ეხვეოდა ჯომის — მის აღმზრდელ ქალს. მათ ერთად ეძინათ და ხშირად ჯომი ელსიას ბალიშად იყენებდა, თავს დაადებდა და ჩაეძინებოდა.

„ერთხელ შორიდან ლომის ღრიალი მოისმა, ელსიამ ყურები დაცქვითა და სირბილით გაეშურა უცნობი მეგობრისაკენ. ასე გამეორდა ბევრჯერ, ელსია მთელ ღამეებს ტყეში ატარებდა, ხვადი ლომის ალერსში... მხოლოდ ცოტა ხნით შემოიბრუნებდა ჩვენთან, დავვილოკავდა სახეს, ხელებს, საჭმელს პირს არ მიაკარებდა და კვლავ ტყეში გაუჩინარდებოდა.

ელსიასთან კავშირი არ დაგვიკარგავს. კვირაში ორჯერ-სამჯერ მივიდიოდით იმ ტყის



"მეფიო" ეკონომიკური ბაღვაში

პირას, სადაც ელსიამ მეგობარი და ბუნავი გაიჩინა.

1959 წლის ოქტომბერში შევიტყვეთ, რომ ელსიას მალე შეიღებოდა ეყოლებოდა. მართლაც, დეკემბერში მან სამი ბოკვერი შობა, მაგრამ დიდმა დრომ განვლო, ვიდრე თავის შეიღებს გვიჩვენებდა. ერთხელ ელსია კვლავ გვეწვია ბანაკში, „მოკვესალმა“ და უკან წავიდა. ჩვენ გავყვეით მას. დაბურულ ტყეში, ბუნავის წინ ელსია ჩაცუცქდა და გზა ვადაგვიღობა თავისი შეიღების ადგილსამყოფელისაკენ. არავითარმა თხოვნამ არ გაჭრა. ელსია ადგილიდან არ დაიძრა და იძულებული გახვდით უკან დაგებრუნებულიყავით.

რამდენიმე დღის შემდეგ ელსიამ კვლავ მოიბრინა ჩვენთან, სასწრაფოდ დანაყრდა და კვლავ გაუჩინარდა. ერთხელ ჩვენთან მოსამსახურემ მოიბრინა და გვითხრა, რომ გიღმა ნაპირიდან რაღაც უცნაური ხმები ისმისო. გავიქეცი და გაკვირვებისაგან ადგილზე ვაგეშედი. ელსიას გვერდით სამი ბოკვერი იყო: ერთი ბოკვერი წყალში ჭეშუმბალობდა, მეორე ნაპირზე იდგა, მესამე კი საცოდავად წყმტრუნებდა და აქეთ-იქით დარბოდა. ელსიამ პატარა მდინარე გამოცურა, მას მოჰყვა ორი ბოკვერი, მესამეს ალბათ წყლის ეშინოდა, წყმტრუნებდა და დედას შევლას თხოვდა. ელსიამ მომაგონდა მდინარე, ბოკვერის კისერში ჩაავლო პირი და ნაზად გადმოიყვანა სამშვიდობოს. მთელი „ოჯახი“ ჩემს მახლობლად იყო.

ბოკვერებს აღამიანი არ ენახათ, ამიტომ გაშტერებული მოგვეჩვენებოდნენ ხან მე, ხან თავის დედას. მინდოდა ბოკვერებთან თამაში, მოფერება, მაგრამ მომაგონდა ერთი ზოოლოგის ნათქვამი: — არასოდეს არ მოჰკიდო ხელი ბოკვერებს; ვიდრე თვითონ არ გამოიჩინონ ინიციატივასო. მალე დავმეგობრდით, და თითქოს ძველი მეგობრები ვყოფილიყავით, ერთმანეთს ვეხვეოდით. კეთილი ელსია კი იქვე წამოწვა და ოჯახური ილიით ტკბებოდა. თამაში რომ მოწყინდებოდა, ბოკვერები დედას შემოგებოდნენ. ელსიამ ისინი ერთხელ კიდევ ალოკა, დინჯად გაეშურა თავის ბუნავისაკენ და ბოკვერებიც ხტუნვა-ხტუნვით მას გაჰყვნენ.

ჯოი და ჯორჯ ადამსონები კიდევ დიდხანს განაგრძობდნენ დაკვირვებას. მათ იცოდნენ თუ როგორ ცხოვრობდნენ, იზრდებოდნენ ბოკვერები. ელსია კიდევ ბევრჯერ მოვიდა მათ ბანაკში, ხანდახან ბანაკს სვადი ლამიცი ესტუმრებოდა, მაგრამ მოშორებით იდგა და „ოჯახურ საქმეებში“ არ ერეოდა.

1961 წლის იანვარში ელსია ავად გახდა და მოკვდა. ბოკვერები მალე გაველურდნენ: თავს ესხმოდნენ და სპობდნენ შინაურ ცხოველებს, ფრინველებს. შეუძლებელი იყო მათი მოშინაურობა.

გაზაფხულზე სამივე ბოკვერი დაიჭირეს და მოათავსეს ტანგანიკის ცნობილ ნაკრძალში — სერენგეტაში.

ასე დამთავრდა აღამიანისა და ლომის არაჩვეულებრივი მეგობრობა.

ბ. ზარდალიშვილი

კვდებოდა მეომარი, მკაცრ ბრძოლებში დაჩეხილი. ტიროდნენ ქალები. გულმწუხარედ შესცქეროდნენ სასიკვდილოდ განწირულ თვალბრძანებულთა, ცრემლგამორბალი მოხუცები... გაქვნიებული ცხენის თქარათქური ზედ კარავთან შეწყდა; დაჭრილის საწაოლს მეგობარი მივარდა და რაღაც მიაღო ჯავშანზე. ეს გახლდათ მუჭი ყავისფერი, გაყინული წვეთები, რომელთაც რაღაცა უცხო, უცნაური, საამო სურნელი სდიოდა და ოდნავ ფიჭვის სუნი დაჰქრავდა. საიდუმლო ნივთიერება, ნაშთი მთებში ერთგული მეგობრის მიერ, სისხლიან იარებზე დაადებს. სწრაფად მოშუშდა ჭრილობები. გადარჩა მეომარი...

უცნაურ, ფანტასტიკურ ამბებს ჰყვებიან მოხუცი მთიელები ბალზამ „მუშიოზე“, რომელიც საგულდაგულოდ დაუმალავს ბუნებას მივარდნილ ადგილებში. უშიშრო ავადმყოფებს, სასიკვდილოდ დაჭრილ ადამიანებს არჩენს იდუმალი მუშიო. მთის ბალზამი თავისი სამკურნალო თვისებებით „სიცოცხლის ფესვზე“ — უნ-შენზე უკეთესია, ამტკიცებდნენ შუა საუკუნეების მედიკები. რამდენი ბორცვოვანი და ჩადენილა წარსულ საუკუნეებში მის მოსაოვებლად! ზურგში ტყვია, მთიდან მომავალ ქარავნებზე თავდასხმა, მუშიოს საიდუმლო საცავი ადგილების დარბევა...

მრავალი წლის განმავლობაში ეძებდა სამხრეთ პამპირ-ალაის მთებში მუშიოს უზბეკი მეცნიერი ხოჯა რასულოვი და მხოლოდ ერთი წლის უკან, აგვისტოში, ზერაფშანის ქედის გამოკვლევის დროს, ერთერთ ნაპრალში სქელი, თითქმის შავი მასის წვეთები შენიშნა. უძველესი გადმოცემით, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო მუშიო. სულ რამდენიმე გრამი იშოვა მეცნიერმა დაკვირვებისათვის.

— ლეგენდარული ბალზამი ფესვსაქმლის ვაქსას წააგავს. — თქვა ხოჯა რასულოვი და ფილა, რომელშიც ცოტაოდენი მუშიო იყო შეგროვილი, მადლა ასწია. — ჩვენ შევეცადეთ გამოვეყვია, რას წარმოადგენდა ჩემი აღმოჩენა. ქიმიკოსები და ბიოლოგები იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ მას რთული შემადგენლობა აქვს და მისი ბიოლოგიური წარმოშობაც ჯერ გამოცანად რჩება.

ჩაატარეს ცდები ბაქიებზე. საიდუმლო ბალზამმა ყველაზე დაუჭერებელი ლეგენდებიც კი სარწმუნო გახდა. 6-10 დღის შემდეგ მუშიოს სამკურნალო ძალის მეოხებით

ცხოველთა გატეხილი ძვლები ერთმანეთს შეეწარდა!

საქირო იყო ცდების გაგრძელება, მაგრამ ძალიან ცოტა ჰქონდა ნაშთი ხოჯა რასულოვის ეს ძვირფასი ნივთიერება.

...1968 წლის ზაფხულში პეკინეტელი მასწავლებელი უსმან ქალილოვი ზერაფშანის ცენტრალურ ნაწილში ნადირობდა. ხანადირო ბაზიდან კარგა შორს იყო, რომ შემოღამდა და იძულებული შეიქნა ღამე იქვე კლდეებში გაეთია. დილით გაახილა თუ არა თვალი, ნაპრალში უცნაური შავი წებო შენიშნა. „ნუთუ მუშიოა?“ — გაიფიქრა მასწავლებელმა და სასწრაფოდ პეკინეტში გაეშურა. როგორც კი ქალაქში ჩავიდა, მაშინვე სათანადო ორგანოებს მიმართა. იმავე დღეს დუშანბედან პეკინეტს ტაქიეთის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივ შენადნობთა ქიმიის ლაბორატორიის გამგე — სერგეი ბაგრატის ძე დავიდიანი გაფრინდა. მეორე დღეს კი, დილაუთენია, მამიბელი ექსპედიცია, რომელსაც უსმან ქალილოვი ხელმძღვანელობდა, გაეშურა იქით, სადაც მუშიო იყო შენიშნული.

ზღვის დონიდან სამათასი მეტრი. უჭირო, ლაუვარდოვანი ცა, ცივი ქარი, ფრიალო კლდეები. ნაპრალში კი ჩამონადენთი, გამაგრებული შავი ფისისებური მასა. მუშიო, ბევრი მუშიო ცალკეული დაგროვილი მასის დიამეტრი ნახევარ მეტრს აღწევს!

აი, დევს იგი ლაბორატორიის გამგის მაგიდაზე, უცნაური, გამოუცნობი ნივთიერება, შავი ვაქსა. მისი შემადგენლობა და წარმოშობის ბუნება ჯერ ისევ დაუდგენელია. წინასწარი მონაცემების მიხედვით იგი შედგება 50 პროცენტი ნახშირწყლებისაგან, 10 პროცენტი წყალბადისაგან, ოცზე მეტი მიკროელემენტისაგან და კიდევ გაურკვეველი ნივთიერებისაგან, რამაც მას სამკურნალო ძალა და იდუმალი ბალზამის ფანტასტიკური დიდება მიანიჭა.

45 კილოგრამი მუშიოს შეგროვება შეხბლეს ამქრად. ნაწილი ლაბორატორიაში დარჩება — ქიმიკოსები შეიწყვილიან. დანარჩენს ტაქიელი მეცნიერები გაუფასვნიან სხვა ინსტიტუტებს გამოსაცდელად.

რომელი ავადმყოფობისაგან განკურნავს უძველესი ბალზამი აღამიანს? გამოადგებათ იგი ქირურგებს, ონკოლოგებს, თერაპევტებს? ამის შესახებ მალე შევითყობთ.

„ნაღვლია“



ერთი კვირის მხრობე

ლუბომირ იორდანიძე,
ბულგარელი მწერალი.

(ერთი მუშაობის მოხოლოგი)

მხატვარი დ. ბაშალიაშვილი

არა! მეტიც ატანა აღარ შემიძლია ან თავი უნდა დავიხრჩო, ან განცხადება უნდა შევიტანო განქორწინებაზე. ერთი წუთით მაინც მოეშვი მაგ ნოსს! თუმცა რას ვამბობ! შენ ოღონდ ნოსები გაფერთხვინა და წინდები გაკეფსვინა—მეტი რა გინდა! მხოლოდ მაგისტვის ხარ დაბადებული. შენში ხომ არაფერი არ არის ამადლებული, ინტელიტუალური! არადა ზეცოურ არსებად გთვლიდი! ვსიერობდით ბალებში, გისმენდი როგორ კითხულობდი იმის... რა უანაბა პქვია... პო, ბლოკის ლექსებს და ვფიქრობდი: „აი, ეს ქალი სწორედ ჩემთვის ყოფილა დაბადებული, რა პოეტური სული აქვს-მეთქი“... პოდა, ყველაფერში მოვტყუვდი, ერთი სიტყვით, გამაცურე, თვალი ამიხიე. სინამდვილეში შენ მაშინაც ასეთი მეშინი იყავი, როგორც ახლა — გონებაშეზღუდული მეშინი!

მერე რა ამისთანა ძნელი საქმეები გაქვს ნეტავი? ორად-ორი ოთახი გაქვს — ესაა და ეს. საშარეულოო? არა, იქნებ გინდა სადლის მზადებაც მე დავიწყო?

მომეცი ლურჯი კოსტუმი. პერანგი დააუთოვე? ბავშვებს უთხარი არ იხმარონ. მთელი დღე მუშაობ, მოხვალ სახლში დალილი და ვერ დავისვენია. რათ, მე თვითონ ვუთხრა ბავშვებს. განა მარტო ჩემები არიან? იმათი აღზრდა განა ჩემთან ერთად შენც არ გევალება? დედა ხარ, ბოლოს და ბოლოს, თუ არა? თუმცა კარგახანია გამჩნევ, რომ შენ დედური გრძნობის არა გაგაჩნია-რა.

პო, კარგი, კარგი, წავედი. აიღე ერთი ჯაგრისი და ზურგზე გადამისვი! ხვალ არ და-


გავიწყდეს ნამდვილი ვაქსის ყიდვა. კიდევ კარგი, ხანდახან მაინც მიხდება კულტურულ ხალხთან შეხვედრა, თორემ სულ დავიღუპებოდი. მე სულგრძელი ვარ. სულგრძელი და კეთილი. თორემ აქამდე ცხრაჯერ მიგატოვებდი, ან გავლოთდებოდი. საკუთარ ოჯახში თავს უცხოვ ვგრძნობ!

დაბრუნებისას ვიჯახებ. საჭმელი ჩემი მოსვლისთვის წამოაცხელი. იცოდე, ოღადები ზედმეტად არ გამოაშრო. ოპ, მაგვიანდება! ან რა. მაქაქანებს ამისთანა მეშინთან. არა, ნამდვილად დავაგვიანე ბირველ მოქმედებაზე, სულ კი შენი გულისთვის!..

თარგმნა მ. მახსარაშვილმა

მოიცა, მოიცა! სად იყიდე ეს ილიოტური ვაქსი? — არ გაბედო მაგ ვაქსით ჩემი ფეხსაცმლის გაწმენდა, გაწითლებს. ვაქსის ყიდვაც არ იცი! პო... მახსოვს, მანდოლინაზეც უკრავდი. ახლა? დალაგება, ნაგავი, ხალიჩები. მთელი დღე ქურას არ სცილდები... აბა, როგორ არის ყავის საქმე? იცოდე, ბევრი შაქარი არ ჩაყარო! აქეთ მომეცი! აბა, რას ბუჯარობ? ზილე ჩემი პერანგი და საყელო კარგად გააუთოვე. ბილეთი მაქვს თეატრში აღებული. შენთვის? შენ დრო მაინც არა გაქვს...

აბა, რას გეუბნებოდი? ხომ გითხარი, ბევრი შაქარი არ ჩამიყარო ყავაში-თქო. ეკონომიაა საჭირო, ეკონომია! მოსაზრებაა საჭირო. მოსაზრება და... გაგება. გაგება, გესმის? მაგრამ შენ რისი გაგება შეგიძლია? ან მე რაღას გეკითხები? თითქოს ამ ათი წლის მანძილზე ერთი წიგნი მაინც აველოს სეღში, გარდა „კერძების მომზადების ათასი რჩეული რეცეპტისა“. რათ, დრო არა მაქვსო? არა, მაინც რითი ხარ დაკავებული? მოიტა წინდები! საქმე დროის უქონლობაში კი არა, იმაშია, რომ სულიერი მოთხოვნილება არ გაგაჩნია. დიდი ამბავი, თუ სამსახურში დადიხარ! მე რა, არ დავდივარ სამსახურში თუ? ოჯახის საქმეები?





რეჟისორი



თავდაპირველად ლიუბოვ ორლოვას კინო არ ყვარებია. ერთი შეხედვით ეს გაკვირვებას იწვევს, მაგრამ მსახიობის ბიოგრაფიის ფაქტებს თუ გავისხენებთ, კინოს „სიძულვილი“ გასაგები გახდება. რეჟისორი ა. ლუ-ნაჩარსკის სახელობის სახალხო სკოლაში მეცადინეობდა, იყო მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი, სადაც ერთდროულად სიმღერასა და როიალზე დაკვრას სწავლობდა. ცხადია, ბალერინას, მომღერალს, დამკვრელს კინოს სიმუხვე არ მოსწონდა და ამდენად არც კინომსახიობობაზე ფიქრობდა. მუხჯი კინემატოგრაფია მას შეზღუდულ ხელოვნებად მიაჩნდა და ისევე ძველსა და მანაც მარად ახალ თეატრს ამჯობინებდა. სადაც შეეძლო თავისი არტისტული ნიჭი სრულად გამოევიწყა: ემღერა, ეცეკვა და დაეკრა.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დამლევეს ბევრი ხელოვანი ოცნებობდა ე. წ. სინთეტურ თეატრზე. ასეთ თეატრზე ბევრი უფიქრია ლიუბოვ ორლოვასაც. ამიტომ მიაკითხა მან ვლ. ნემიროვიჩი-დანჩენოს სახელობის მუსიკალურ თეატრს, სადაც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობისათვის დიდი ასპარეზი იყო გაშლილი. აქ აპირებდა ორლოვა შემოქმედებითი ცხოვრების გატარებას. მაგრამ, დრომ სხვანაირად განსაჯა. კინომ ლაპარაკი დაიწყო. ხმოვანი კინო ყველაზე უფრო პასუხობდა „სინთეტური თეატრის“ თეორეტიკოსების მოთხოვნას და შეიცვალა ლიუბოვ ორლოვას დამოკიდებულებაც კინოს მიმართ. ცხოვრებაში ხანდახან ხდება ხოლმე: სიძულვილი მოულოდნელად სიყვარულში გადაიზრდება. 1934 წელს ლიუბოვ ორლოვა სიხარულით დათანხმდა ეთამაშა ფილმში „პეტერბურგის ღამე“. ორლოვა ასრულებდა პროვინციული მსახიობი ქალის გრუშენკას როლს. ეს პატარა, ეპიზოდური როლი იყო. მაგრამ მისი შემსრულებელი არც საზოგადოებას და არც კინემატოგრაფისტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

იმავე 1934 წელს მსახიობის ახალი როლი შესთავაზეს ფილმში „მხიარული ახალგაზრდები“, რომელსაც დავამდა კინორეჟისორი გრ. ალექსანდროვი. ლიუბოვ ორლოვა შინამოსამსახურე ანიუტას როლს ასრულებდა. ამ სახის განსორციელება იოლი არ იყო: მსახიობს ორგანულად უნდა შეერწყა ერთმანეთში კომიკური და ლირიკული, რადგან ანიუტა, ერთი მხრივ, სასაცილო გოგონა იყო, ხოლო მეორე მხრივ, — ლირიკულად განწყობილი მეოცნებე ადამიანი. გარეგნულად ანიუტა რაღაცით ჩარლი ჩაპლინის გმირს მოგავიწყობდა — ფეხებზე ეცვა უზომოდ დიდი, გვერდზე მოქცეული მამაკაცის ფეხსაცმელი, თხის კუდივით პაწია. ნაწნავები ზევით ჰქონდა აპრეხილი, ნახევრისარი კაბა კი — ტომარასავით ჩამოცმული. შინაგანად ანიუტა არსებითად განსხვავდებოდა ჩაპლინის გმირისაგან. იგი უდარდელი, მეოცნებე, თავის მომავალში დარწმუნებული ქა-

ლიზვილი იყო და არაფერი ჰქონდა საერთო საქვეყნოდ ცნობილი პატარა კაცის დიდ სევდასა და დარდთან. პერსონაჟის ხასიათის ეს ორი განსხვავებული მხარე — კომიკურობა და ლირიკულობა — მსახიობმა ოსტატურად შერწყა და ეკრანზე სიცილისა და მხიარულების ფეიერვერკი დაანთო. ამ როლის შესრულებით ორლოვამ ერთერთი უმაღლესი კინომსახიობის სახელი დაიმკვიდრა, ხოლო ფილმი „მხიარული ახალგაზრდები“ 1934 წელს ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ფილმების ექვსეულში შეიტანეს.

მომდევნო ფილმი, რომელშიც ლიუბოვ ორლოვა მთავარ როლს ასრულებდა, იყო გრ. ალექსანდროვის „ცირკი“ (1936 წ.). ოფიციალურად ეს ფილმი კომედიად იწოდებოდა, მაგრამ ნამდვილად ერთმანეთში იყო არეული რამდენიმე ჟანრი — მელოდრამა, პამფლეტი და ექსცენტრიკული კომედია. ასეთი ჟანრობრივი არეულობა ძალიან აძნელებდა მსახიობის თამაშს. ორლოვას უნდა გაემართლებინა და დამაჯერებელი გაეხადა ფილმის გმირის მოქმედება სხვადასხვაგვარ სიტუაციებში. ასეც ითამაშა მსახიობმა: მარიონ დიკსონი — ლიუბოვ ორლოვა მოქმედების სიმართლეს არ არღვევდა და კომედიის ხაზით თანაბრად და ზომიერად მიყავდა.

„ცირკის“ მთავარი პერსონაჟის როლის შესრულებისას მსახიობს კიდევ ერთი სიძნელე უნდა გადაეღა: მარიონ დიკსონი პროფესიით ცირკის მსახიობი იყო და ორლოვას ტრაპეციაზე რამდენიმე ნომრის შესრულება უნდა შესძლებოდა. ლიუბოვ ორლოვა ცირკის მსახიობის პროფესიისაც დაეუფლა და ფილმში თავბრუდამხვევ ილეთებს თვითონ ასრულებდა. აქ არ შეიძლება კიდევ ერთი ფაქტი არ გავისხენოთ: 1940 წელს ფილმში „ნათელი ზა“ ორლოვას ფეიქარ ტანია მოროვას როლი უნდა შესრულებინა. ფილმის მიხედვით ტანია 240 დაზვას ემსახურებოდა. ცხადია, მსახიობს, რომელიც ტანისა როლს ასრულებდა, ფეიქარობის მინიმუმი მაინც უნდა სცოდნოდა. ორლოვა ქალაქ ივანოვოში გაემგზავრა და საფეიქრო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. მალე მსახიობმა ფეიქარის ტექნიკურმა ჩააბარა და პროფესიონალი ფეიქარის წოდება მიიღო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, ფეიქარები წერდნენ ლიუბოვ ორლოვას: თუ კინოში გაეჭიჭირდა და მისი მიტოვება გადაწყვიტო, მოდი ჩვენთან, შენ ჩვენთან ხარ, ნამდვილი ფეიქარი და ჩვენი ოჯახში სიყვარულით მიგიღებთ.

ორივე ფაქტი იმ დიდ შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს, რომელიც ნიჭთან ერთად აუცილებელია კინომსახიობისათვის და ურომლისოდაც ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვება შეუძლებელიც არის.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ლიუბოვ ორლოვამ კიდევ ერთ ფილმში მოასწრო თამაში. ეს იყო კინოკომედია „ვოლგა-ვოლგა“. ამ ფილმის მთავარი პერსონაჟი დუნია პეტროვა ხასიათით დიდად არ განსხვავდებოდა „მხიარული ახალგაზრდების“ გმირის — ანიუტასაგან. ამიტომაც ეს როლი ახალს არაფერს მატებდა ორლოვას რეპერტუარს და არც მისი ნიჭიერების უცნობი თვისებების გამოვლენის საშუალებას იძლეოდა. თუმცა მხიარული, პირდაპირი, გულდია და პრინციპული ფოსტალიონი დუნია პეტროვა — ლიუბოვ ორლოვა მაინც მაყურებლის საყვარელი გმირი გახდა, რასაც მსახიობმა როგორც ოსტატობის, ისე პირადი ეშხის წყალობით მიადწია.

ომმა რამდენიმე წლით შეწყვიტა ლ. ორლოვას მოღვაწეობა კინოში. იგი მხოლოდ 1947 წელს მიუბრუნდა კინოხელოვნებას და ფილმში „გაზაფხული“ ერთდროულად ორი როლი შეასრულა: მეცნიერი ქალის ნიკიტინასი და მსახიობ შატროვასი. ეს ორი ქალი ერთმანეთს გარეგნულად ტყუპის ცალივით ჰგავდნენ, შინაგანად კი აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები იყვნენ. მიუღ სიძნელესაც ეს წარმოადგენდა — ერთდამევე ფილმში ორი განსხვავებული, თავისთავადი ხასიათის თამაში და რაც მთავარია, ამავე დროს არცერთ მათგანს არ უნდა დაელებოდა ფერი და სიცოცხლე. მსახიობმა დამაჯერებლად დახატა ორი-



„რუსული სუენიანი“

ვე პერსონაჟის სახე და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი ფართო შემოქმედებითი დიპაზონით დაჯილდოებული ხელოვანია.

მაღე ლიუბოვ ორლოვას ისევე მოუხდა მისთვის უჩვეულო როლის შესრულება ფილმში — „შეხვედრა ელბაზე“ (1949 წ.). ფილმის პერსონაჟი ჯაშუში ქალი ჯანეტ შერვუდი თავისი ბიოგრაფიით არ ჰგავდა ორლოვას აღრინდელ გმირებს; უდარდელი, სიცოცხლითა და სიხარულით სავსე ქალიშვილების ნაცვლად, გაქნილი, პოლიტიკურ ინტრიგებში ნაწრთობი, შეუბრალებელი და დაუნდობელი ქალი. ჯანეტ შერვუდის ხასიათი და ბუნება სრული წინააღმდეგობა იყო თავად მსახიობის ხასიათის და ბუნების. მაგრამ ინტერესსაც ეს იწვევდა: მსახიობობა ხომ სხვად ქცევაა და ამავე დროს იმ სხვა პიროვნების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოძქდაცემა. ლიუბოვ ორლოვაც ჯანეტ შერვუდის შინაგან ბუნებასა და ფსიქოლოგიურ სამყაროს ხსნიდა, მისი სულის ობიექტურ სურათს გაჩვენებდა და ამასთანავე ემოციურად მაცურებელს ჯაშუშობის და ღალატის წინააღმდეგ ამხედრებდა. როლის ამგვარი გააზრებით გახანდა მსახიობმა ჩვეულებრივი სათავგადასავალო ფილმის პერსონაჟი მხატვრულად საინტერესო სახედ.

ბოლო წლებში მსახიობს გულმა ისევე თეატრისაკენ გაუწია. ამჟამად ლიუბოვ ორლოვა მოსსაბჭოს სახელობის თეატრის მსახიობია. რა თქმა უნდა, ეს ხელს არ უშლის მას პარალელურად კინოშიც იმუშაოს, მაგრამ იგი, როგორც კინომსახიობი, ჯერჯერობით დუმს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დროებითი დუმილია.

ლიუბოვ ორლოვა



აბაპი ბაძრაძე

ნიშნობის ბეჭედი

ისინი ხელიხელჩაჭდობილი ჩამოდიან კიბეზე. თვალები უბრწყინავთ. ვაჟი ცდილობს მშვიდად ეჭიროს თავი, მაგრამ ბაგეში ჩამალული ღიმილი ამხელს მოზღვავებულ სიხარულს. ყურში ისევე ეღერს მენდელსონის „საქორწინო მარშის“ საზეიმო ხმები. ქალი ფაქიზად იკრავს გულში დიდ თავიგულს. თითზე ნიშნობის თხელი ბეჭედი უბრწყინავს. ასეთივე ბეჭედი უკეთია მის თანამგზავრს არათითზე. არა, თანამგზავრს კი არა, ქმარს. ისინი ცოლ-ქმარი გახლავთ.

— გვირგვინი არ დაუდგამთ, ბეჭედი კი ჩამოაცვეს, — ბუზღუნებს ვიღაც შვათავსაფრიანი ქალი, რომელიც ცნობისმოყვარეთა ჯგუფში დგას.

ხშირად, გაუფრთხილებლად ნათქვამ სიტყვას, ნაქარგვასა და არასწორ დასკვნას შეუძლია არა მარტო დაარღვიოს ბედნიერი წუთები, არამედ უხეში იარაღიყიფითაი მიიკრას ზედ. ასე მოხდა ნიშნობის ბეჭედიზეც. ერთნი ამბობენ: უგვირგვინოდ ქორწინება ქორწინება არ არის, და ბეჭედი ბეჭედიანო; მეორენი უაბელაციოდ აცხადებენ: ეს ჩვენი „ჩვეულებააო“; მესამენი კი დასძენენ: გადმონაშთიანო.

სხვათაშორის, ამ ჩვეულებას საინტერესო ისტორია აქვს. ჯერ კიდევ რომელიღო მონათმფლობელები ტყვეებს, მონის საყელურის მაგივრად, რომელიც ძველ საბერძნეთში იხმარებოდა, ბეჭედს უკეთებდნენ, რომელზეც პატრონის სახელი იყო ამოკვეთილი. ამ ბეჭედს, უფრო სწორედ, რგოლებს, ფეხზე ან ხელზე ატარებდნენ. გავიდა წლები და რკინის ბეჭედს, რომელზეც საქმროს სახელი იყო ამოკვეთილი, ახლა წარ-

მართა საქორწინო ცერემონიაზე საპატარძლოს უკეთებდნენ, რაც სიმბოლურად მეუღლის — პატრონის განუსაზღვრელ უფლებებს ნიშნავდა. ძველი გერმანელები ბეჭედის ჩუქებით აღნიშნავდნენ, რომ ცოლის ყიდვა-მორიგება დამთავრებული იყო. ქრისტიანულმა ეკლესიამ კი გადმოიღო ეს ჩვეულება. როგორც ნიშანი ცოლის ქმრისადმი მორჩილებისა.


დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დასანიშნად გლუვ და ძვირფას ან ნახევრად ძვირფასთვლიან ბეჭედებს ხმარობდნენ.

რუსეთში ნიშნობის ბეჭედი, როგორც წესი, გლუვი უნდა ყოფილიყო. მე-15 საუკუნეში ღვთისმშობისავე სალუნსკიმ დაამკვიდრა „წესი“, რომლის მიხედვითაც საქმრო საცოლეს რკინის ბეჭედს უკეთებდა, საცოლემ კი ოქროსას. იგი ამტკიცებდა, რკინა „ქმრის ძალაუფლებას“ ნიშანია, ოქრო კი „სინაზისა და უმწიკვლოებისა“.

დღეს ახალგაზრდები ეკლესიის დალოცვას აღარ ელან. მათ სიყვარული და საერთო


ინტერესები აკავშირებთ. თავიანთ ცხოვრებას ისინი საეკლესიო კანონების მიხედვით კი არა, კომუნისმის მშენებლის მორალურ კოდექსში ჩაწერილი მშვენიერი წესების მიხედვით აგებენ. ნიშნობის ბეჭედიც. იმისდამიუხედავად, რომელი ლითონისაგანაა იგი გაკეთებული, სიყვარულის, ბედნიერების, ურთიერთაბატვისცემის, საერთო მისწრაფებებისა და ერთგულების, ერთი სიტყვით, ყოველივე იმის სიმბოლოდ იქცა, რისგანაც, როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკი ამბობდა: „ნათლდება აზრი და ღონე ემატება მარჯვენას“.

ნიშნობის ბეჭედი უბრალო, კარგი ტრადიციან, ისეთივე როგორიც, მაგალითად, ყვავილების მირთმევის ჩვეულება. თხელ ბეჭედს სილამაზე შეაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში და გვაგონებს ღრმა, გულწრფელ გრძნობებს, რომელიც ორ ადამიანს აერთებს. თუმცა, თუ ასეთი გრძნობა არ არსებობს, მას ვერავითარი ბეჭედი ვერ შეცვლის.



საქართველოს სსრ-ის სპორტული კლუბი

კლუბის შესახებ



რით შეიძლება დაესმაროს მედიცინა იმ ქალებს, რომლებიც დღესაც ძველებურად აზროვნებენ და მთელ თავიანთ იმედებს კოსმეტიკაზე ამყარებენ? კოსმეტიკა ხომ ჯადოქარი არ არის. მართალია, მას შეუძლია ზოგი რამ გააკეთოს, მაგრამ შეზღუდვები და გრემები სილამაზესა და ახალგაზრდობას ვერ დააბრუნებს.

ადამიანის კანი რთული აგებულების ორგანოა. მისი ქსოვილების სიცოცხლისუნარიანობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კვება, წყალი, ძილი, მოძრაობა და ჯანმრთელი ცხოვრების წესი. ცხადია, ასეთ რამეს კოსმეტიკას ვერ მოეთხოვთ.

სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ კოსმეტიკა, რომელიც ადრეულ საუკუნეებშიც არსებობდა (პირველი პაპირუსი კოსმეტიკური აღნიშვნებით განეკუთვნება 5.000 წელს ჩვენს ერამდე), მხოლოდ გარეგნულ საშუალებებს ემყარებოდა. თუმცა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად კმაროდა მხოლოდ გარეგნული საშუალებები. მაგალითად, ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა ვირის რძეში ბანაობდა, დაწმენებული იმასი, რომ ამით სილამაზესა და ახალგაზრდობას შეინარჩუნებდა. მაღამ პომპადურის სახეზე უმი ხორცის ნაჭრებს იდებდა.

ძველ კოსმეტიკურ საშუალებათა დიდი ნაწილი (მცირე ნაწილს იღებს თანამედროვე მედიცინა) შედეგს არ იძლევა, რადგან კანის თხელ ზედაფენასაც ვერ აღწევს. საკვები კი, რასაც ადამიანი იღებს, გადამუშავების შემდეგ სისხლში შედის, სისხლი თავის მხრივ საკვებ ნივთიერებებს აწვდის ქსოვილებს, რომლებიც განუწყვეტლივ წარმოქმნიან ახალ კანს. სწორედ ამიტომ კვება გაცილებით ძლიერ ზემოქმედებას ახ-

დენს კანზე, ვიდრე ის გარეგნული საშუალებებია, რომლებსაც მექანიკურად ვიდებთ კანზე. ამიტომ ვამბობთ: სილამაზის სათავე ჯანმრთელობაა!

კარგი კანი კარგ კვებას მოითხოვს. მას სჭირდება ბოსტნეული და ხილი, ხორცი (არც ძალიან მსუქანი) და რძის პროდუქტები, ბურღული და სუფთა პური...

კანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყალი. თუ ჯანმრთელი ხართ, დღის მანძილზე დალიეთ 4-6 ჭიქა წყალი იმ სითხეებთან ერთად, რასაც თქვენ იღებთ სუპის, რძის და სხვადასხვა წვენების სახით. პირველივე ჭიქა წყალი დილას, ადგომისთანავე მიიღეთ.

წინათ კოსმეტოლოგები ფიქრობდნენ, რომ კანის სიმშრალეს იწვევდა მასში ცხიმის უქონლობა. ამიტომ ურჩევდნენ მკვებავ კრემებს. ამჟამად დადასტურებულია, რომ კანის სიმშრალის მიზეზი წყლის ნაკლებობაა. რა თქმა უნდა, კანს აქვს სისველის შენარჩუნების და მისი წარმოქმნის თვისება. მაინც მშრალმა, ცხელმა პავამ შეიძლება ავნოს კანს, ისევე, როგორც იგი ვნებს ნარგავებს, მცენარეებს, ბალახს. ცნობილია, რომ ნოტიო პავის ზონაში ქალთა უმრავლესობას აქვს ნაზი ფერის და კარგი კანი. სამხრეთ რაიონებში კი კანი უფრო ჩქარა ჭკნება და უხეშდება. მშრალი ამინდისა და მცხუნვარე მზის გარდა, კანს ბუნებრივ სისველეს აცლის ცენტრალური გათბობაც. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? მზის მცხუნვარე სხივებს სახე უნდა ავარიდოთ, ზოლო ბინაში, სადაც ცენტრალური გათბობაა, ტენიანობის ასაწვეად რადიატორზე მოვითავსოთ წყლიანი ტურჭელი.

კანის მკურნალობის ერთერთი მნიშვნელოვანი

ფაქტორია სისხლის ნორმალური მიმოქცევა. სისხლის სწორი მიმოქცევისათვის კი საჭიროა სუფთა ჰაერზე მოძრაობა, ჩოგბურთის თანაშედეგად ლამურებით სრიალი. კარგია ჰეირნობაც, ამ დროს ორგანიზმი იღებს მზისა და ჰაერის აუცილებელ დოზას, ამასთან მოძრაობაში მოდის კუნთები.

სისხლის მიმოქცევა, აგრეთვე, სტიმულს აძლევს მასაჟი ჯაგრისით და შხაპი. რბილი ჯაგრისით, სისტემატური წრიული მოძრაობით, დავიზილოთ მთელი სხეული. მასაჟი დაიწყოთ ფეხის ტერფიდან — ცერიდან, პირველად მარჯვენა, მერე მარცხენა ფეხზე ქვემოდან ზევით. განსაკუთრებული მაგარი მასაჟი სჭირდება წვივებს, შემდეგ დავიზილოთ სხელებს (ჯერ მარჯვენას, მერე მარცხენას), მხრებს, ზურგს (ზურგის დასაზველად კარგია აბანოს ჯაგრისი), მკერდს და ბოლოს ზურგის

ქვემო ნაწილს. ამასთან ყველა მოძრაობა უნდა მიემართებოდეს გულისაკენ.


თუ საშუალება გაქვთ ყოველდღე მიიღოთ შხაპი, მასაჟი გაიკეთეთ შხაპის მიღების წინ. წყალი აუცილებლად ოთახის ტემპერატურისა უნდა იყოს. თუ არა გაქვთ შხაპის მიღების საშუალება, მაშინ ჯაგრისით მასაჟის შემდეგ, ტანი დაიზილოთ სუფთა სველი ღრუბლით ან ტილოს ნაჭრით.

კანისათვის აუცილებელია ნორმალური ძილი. ძილის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თვით ადამიანის მოთხოვნილებაზე. მთავარია კარგად გამოიძინოთ. თუ მოთხოვნილება გაქვთ იძინოთ რვა, ცხრა და ათი საათიც კი. არ მოიტყუილოთ თავი: ვთქვათ ერთ ღამეს ხუთი საათი გეძინათ. ამ დანაკლის ვერ შეივსებთ მეორე ღამეს, თუნდაც ათი საათი იძინოთ. თუ ადრე დაიძინებას შეეჩვეით, დაინახავთ თუ როგორ კარგად იმოქმედებს ეს თქვენი კანის ფერზე. უძილო ღამის ან ცუდი ძილის შემდეგ ადამიანის კანი ყოველთვის დამჭკნარი და ნაცრისფერი გამოიყურება.

ვიმეორებთ, სილამაზე დამოკიდებულია ჯანმრთელობაზე. მაგრამ კოსმეტიკას აქვს საშუალებანი, რომელთა ცოდნა საჭიროა ქალებისათვის. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ კოსმეტიკა მხოლოდ მაშინ მოგიტანს სარგებლობას თუ ჩვენ დავიცავთ ყველა აუცილებელ მოთხოვნას, თუ გაფიქრებთ რომ კანი ორგანიზმის ნაწილია. ჯანმრთელი, ქორფა კანი აუცილებელია როგორც ადამიანის გუნებისათვის, ისე მისი გარეგნობისათვის. მისი ჯანმრთელობისათვის.

გაუფრთხილდით კანს!




ჩვევა ახალშობილში



ახალშობილის მოვლა

სამშობიარო სახლში დედისა და ახალშობილის ჯანმრთელობისათვის ექიმები და სამედიცინო დე-ბი ზრუნავენ, მაგრამ შინ დაბრუნების შემდეგ, ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით მთელი რიგი ისეთი საკითხები წამოიჭრება, რომელთა შესახებ შეიძლება ახალგაზრდა დედამ ბევრი არაფერი იცოდეს.

ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ ზოგიერთ მათ-განს.



ახალშობილის ძილი

ახალშობილს პირველ ხანებში 20-22 საათი ძი-ნავს დღეღამეში, ეს იმიტომ, რომ მეტისმეტად უმნიშვნელოა ჩვილის თავისტვინის ნერვული სის-ტემის შრომისუნარიანობა, არ შეუძლია ხან-გრძლივად აქტიურ მდგომარეობაში ყოფნა, ადრე „იქანცება“.

ახალდაბადებულს ჩვეულებრივად შიმშილის გრძნობა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი აღვიძებს. მაგრამ, როცა ბავშვს ერთი თვე შე-უსრულდება, იგი უმეტესად უნდა შევარჩიოთ ფხიზლად ყოფნას ყოველი კვების შემდეგ დაახ-ლოებით 30-40 წუთს. შემდეგ ჩავაწვინოთ და გა-ძინოთ — 2-2,5 საათი, ე. ი. მორიგ კვებამდე.

კანის მოვლა

ახალშობილის კანი მეტისმეტად ნაზი და მგრძობიარეა. იგი მოითხოვს ყოველდღიურ და საგულდაგულო მოვლას. პირველ რიგში აუცილე-ბელია წინასწარ გადაწყვიტოთ, თუ სად გასხნით და შეახვეთ ბავშვს, ამ ადგილთან ახლოს მოი-მარაგეთ ყველაფერი, რაც საჭიროა ბავშვის კანის მოსაველეად: ქილა სუფთა ბამბით, ვაშელინი ან ანადუღარი მცენარეული ზეთი, ტიქა სუფთა ბამ-ბის ბურთულებით და ფთილებით, ლამაქი ნახ-მარი ბამბისათვის.

ყოველ დილით ბავშვს გაუწმინდეთ სახე ოთა-ხის ტემპერატურის მქონე ანადუღარ წყალში ან 1-პროცენტთან ბორისმჟავის ხსნარში დასველე-ბული ბამბით. შემდეგ სუფთა ბამბით ფრთხილად ამოუწმინდეთ თვალები გარე კუთხიდან შიგა კუ-თხისაკენ. ცხვირი გამოუწმინდეთ ვაშელინის ზეთ-ში დასველებული ბამბის ფთილით. კანის ყველა ნაკვეთე (ყურებს უკან, ყელზე, ილიებქვეშ, მუხ-ლებქვეშ და სხვაგან) წაუსვით ზეთში გაპოხილი ბამბის ბურთულები.

რეკომენდებული არ არის ჩვილი ბავშვის პირის ღრუს გამოწმინდა. პირის ღრუს ლორწოვან გარსს შეიძლება შეეხოს მხოლოდ ექიმის მითითებით.



გ ა ნ ე ო ბ ა

ბავშვი უნდა აბანაოთ ყოველდღე, ბოლო ან ბოლოსწინა კვებამდე, სუფთა აბაზანაში ან სა-ამისოდ სპეციალურად განკუთვნილ ვარცხში. იმ ტურტელში, სადაც ბავშვს აბანავებთ, არ შეიძლე-ბა რაიმე გარეცხოთ.

დაბადების პირველ დღეებში ბავშვი უნდა აბა-ნაოთ ანადუღარ წყალში, რომლის ტემპერატურა იქნება +36-37 გრადუსი ცელსიუსით, ანდა ამა-ვე ტემპერატურის მქონე მანგანუმისმჟავა კალი-უმით ოდნავ შეფერადებულ წყალში, შემდეგ კი ჩვეულებრივ წყალში (ცხადა, მისი ტემპერატუ-რა იგივე იქნება).

ბავშვთა ბავშვის დასაბანად იხმარეთ ჰიგროსკო-პული ბამბა ან სუფთა რბილი ჩვარი და არა ღრუბელი, რომელიც მალე ტუტყიანდება და ცუ-დად ირეცხება. კვირაში 2-3-ჯერ შეიძლება ბავშ-ვი საბნით დაბანოთ; მხოლოდ გამოიყენეთ „სა-ბავშვო საპონი“.



როგორ შევახვიოთ ჩვილი ბავშვი

ბავშვს ჩააცვით ფანელის ან ბამბის განი-ერი უღილო პერანგი, კოფთა, ფეხებს შუა ჩაუდეთ რბილი ნაჭერი და ილიამდე შე-ახვიეთ მსუბუქი ჩვრით. დაძინების დროს კი გაახვიეთ თივთიკის საგებში და საჭიროების დროს შემოდან გადაახურეთ საბანი. უბრალო და თივ-თიკის სახვევებს შორის შეუფინეთ მუშამბა.

ბინის მოვლა

ოთახში, სადაც ახალდაბადებულს, ყოველდღი-ურად სველი ჩვრით უნდა გაიწმინდოს ყველაფე-რი. ოთახის ბაერი ყოველთვის სუფთა უნდა იყოს. ზაფხულში ფანჯრები გამუდმებით ღიად დასტო-ვეთ, ზამთარში დროდადრო გაწმინდეთ ბაერი სარკმლის საშუალებით. ოთახის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს +20-22 გრადუსს ცელსი-უსით.

ს ე ი რ მ ბ ა

ზაფხულში, როცა ბავშვი 12-15 დღის გახდე-ბა, შეიძლება გაიყვანოთ სუფთა პაერზე, მაგრამ უფრთხილდით მეტისმეტ სიციხეს, რამაც შეიძლე-ბა გამოიწვიოს სერიოზული დაავადება. ზამთარში თუ ყინვა 10 გრადუსს (ცელსიუსით) არ ატარებებს, შეიძლება პაერზე გაიყვანოთ 2-3 კვირის ბავშ-ვი, პირველ დღეებში 10-15 წუთით, შემდეგ ნა-სუვარი საათით და უფრო ხანგრძლივად.

8. დოზირება, რი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



ტოლმას

ხორციანი. 2 1/2 კგ კომბოსტოს გული ამოჭერით და ქვაბში ჩაალაგეთ, ზემოდან დაასხით აღუღებელი წყალი და შედგეთ ცეცხლზე. ოდნავ რომ გაითუთქება, გარე ფოთლები თანდათანობით შემოაცალეთ და თევზზე დაალაგეთ.

1 ან 1 1/2 კგ საშუალო სიმსუქნის ხორცი ცივ წყალში გარეცხეთ, ძვლები გამოჭერით და მოზრდილ ქვაბში ჩაყარეთ მოსახარშად. რბილი ხორცი საკვებ მანქანაში გაატარეთ, მასთან ერთად გაატარეთ: 2 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 3-4 ძირი ქინძი, ცოტა კამა, ოხრახუში, ნიახური; გატარებულ მასას დააყარეთ შავი ან წითელი წიწკა გემოვნებით, 1/2 ჩაის ჭიქა წინასწარ დამბალი და გარეცხილი ბრინჯი, ერთი გათქვეფილი კვერცხი. დაასხით ცოტა ბულიონი ან წყალი, უყავით მარილი და კარგად აზილეთ.

გამზადებული ფარში სუფრის კოვზით თანდათანობით გაახვიეთ კომბოსტოს ფოთლებში და ფართო ქვაბში მწყობრად ჩაალაგეთ. ძვლების ნახარშ ბულიონს ტომატი ან პამიდორი უყავით და ტოლმას დაახლოებით ისე, რომ ზევიდან ფარავდეს, თავი დაახურეთ და ხარშეთ. ბრინჯი როცა მოიხარშება, ტოლმა მზად იქნება. სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ ტოლმას მოაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა და ქინძი.

უხორცო. 400 გრ ბრინჯი გაარჩიეთ, გარეცხეთ და დაალბეთ, ცოტახნის შემდეგ წყალი გადაწურეთ და ბრინჯში აურიეთ 150 გრ კარაქი, 2 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, 2 კბილი დანაყილი ნიორი, 3-4 ძირი ქინძი, ცოტა კამა, ოხრახუში, ნიახური, შავი ან წითელი წიწკა, მარილი (გემოვნებით), ერთი გათქვეფილი კვერცხი.

მომზადებული მასა სუფრის კოვზით თანდათანობით გაახვიეთ კომბოსტოს ფოთლებში და ფართო ქვაბში მწყობრად ჩაალაგეთ. ზემოდან დაასხით წინასწარ გამზადებული ბულიონი.

ბულიონის მომზადება. 2 1/2 ლიტრ წყალს უყავით 100-150 გრ კარაქი, ტომატი ან პამიდორი გემოვნებით და ხარშეთ. როცა მზად იქნება, ცოტათი გააციეთ და ისე დაახლოებით ქვაბში ჩაალაგებულ ტოლმას. თავი დაახურეთ და ხარშეთ. სუფრაზე მიტანის წინ, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა, ქინძი.

ხაში

ახლადდაკლული საქონლის ფაში კარგად გაასუფთავეთ. გარეცხეთ ჯერ ცივი, მერე მღულარე წყლით და შიგა ყავისფერი კანი გააცალეთ.

ფეხები, ყურები და ტუჩები ბეწვებისაგან გაწმინდეთ და კარგად გარეცხეთ. მერე ყველაფერი დაჭერით მოდილო ნაჭრებად, ჩაალაგეთ მოზრდილ ქვაბში, დაასხით 1 ვედრო (თუ საქონელი ახალგაზრდა) ან 1 1/2 ვედრო წყალი. ხარშეთ დიდხანს. როცა წვენი შესქედილება (მესამედი უნდა დარჩეს) გადმოდგით. ღრმა მათლაფებით ცხელი მიიტანეთ სუფრაზე. სუფრაზე ცალკე ჯამით მიიტანეთ დანაყილი ნიორი და სურვილისამებრ უყავით ხაშს.

ხაში შეიძლება დამზადდეს აგრეთვე ხბოს და ცხვრის თავ-ფეხისა და ფაშისაგან.

კუპატი (ქილაში შესანახად)

ღორის ღვიძლი, ფილტვი, გული, ენა, ბადექონი, ფაში და ნაწლავები კარგად გაფხვიკეთ და გარეცხეთ, მერე აღუღებულ წყალში ჩაალაგეთ და ცეცხლზე შედგით. როცა მოიხარშება, საწურზე გადაიღეთ, მარილი მოაყარეთ და გააციეთ.

1 კგ მსუქანი ღორის ხორცი ცალკე მოხარშეთ. მერე ყველაფერი წვრილად დაჭერით და ერთმანეთში აურიეთ. გემოვნებით უყავით: ყვითელი ყვავილი, ღებნი, სუნელი, ქონდარი, ქინძის თესლი, წიწკა, ნიორი. კვლავ კარგად აურიეთ და ქილაში ჩაალაგეთ. ზემოდან დაასხით გამდნარი ნელთბილი ქონი. გააცივეთ და შეინახეთ ცივ ადგილას. როცა გსურდეთ ამოიღეთ, გააცხელეთ და ტყემლის საწებელთან ერთად სუფრაზე მიიტანეთ.

დასახლისი **მ. ბრეზვამძე**

სხარცულა

კეთილი კაცი პირდაპირ იცხივება.

გახსოვდეს ხალხის რისხვა სიკვდილი.

აღფრადლო, ჯერ შენს თავს მოსთხოვე, შემდეგ კი ბავშვსა.

ვინც დროს ფლანგავს, დანაშაულს სჯაღის.

ცუდი კაცის მოგებელი საფლავშია ბორბავს.

ნინო ახობაძე,

დასახლისი.

გარეკანზე—თვითნასწავლი მხატვრის ელენე მამულაშვილის ნამუშევრები

მონტაჟი მხატვარ
ლ. შენგელიასი
ფოტორეპროდუქციები
ნორა ანთიძის

რედაქტორი **თ. აბაშვამძე.**

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

მხატვრული რედაქტორი **ლ. შენგელია.** ტექნიკური **ქ. დემურაძე.** რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ. **ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII.68 წ. ქალაქის ზომა 60x92, რაოდენობა 5,8.**

ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1,75. პირობით ფორმათა რაოდენობა 5,8.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ტირაჟი 48.000. შეყვეთის № 2668, უფ 05657.

საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14. ფასი 80 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелოს კალი».

Издательство ЦК КП Грузии.

სურათები

ოეზიას, გაზაფხულის მთელ საოცრებას და მომხიბლობას შეიგრძნობს მნახველი, როცა მოხვდება ელენე მამულაშვილის სამყოფლოში, წელიწადის რომელ დროშიც არ უნდა მიხვიდე მასთან.

როგორც იტყვიან, ადამიანი ვერ გაეცევა თავის თანდაყოლილ ბუნებასო და ამიტომაც უკვე ჰალარაშერეული ქალი ზის და ბუნების სიყვარულით, ყვავილების დამატორობელი სურნელებით და ათასნაირი ფერებით გატაცებული ჩითავს ფოთლებისაგან გასაოცარ სურათებს.

ეს გატაცება მას თავისი ბიძისაგან, მიხეილ მამულაშვილისაგან მოსდევს...

მიხეილის, სოსანის, ცინერარიას, ალონისის, მინდვრის პატარა ყაყაოების ფურცლები, ასტრა, ლაგისტრემია, სხვადასხვა ფერის ვარდები, ბროწეულის ფოთლები — აი რა არის თვითმყოფადი მხატვრის პალიტრა. „ვარდისფერი დილა“, „სვანეთი“, „ქობი“, „მთებში“, „სევდა“ — ასეთი სახელწოდებებით იქმნება პატარა ზომის სურათები, რომლითაც მოფენილია ელენეს ბინის კედლები და მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. „ქარი“ სულ პატარა სურათია, მაგრამ რა დინამიურობა, კოლორიტის რა უდიდესი შეგრძნობა მასში!..

დიან, მის სურათებში იგრძნობა ფერწერა. ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

ნაირფურცლების ფერების ფაქტურა აძლევს თვითმყოფად მხატვარს დიდ მასალას გადმოსცეს სახის კანის სირბილე, ნაწი და გამჭვირვალე ქსოვილის ჰაეროვნება. ყვავილთა ფურცლების მშვიდი, ღრმა და გამჭვირვალე ტონები გასაოცარ კოლორიტს უქმნის სურათებს.

„მხატვრის პალიტრა“ — ასე ეწოდებოდა ერთ სურათს. და რამდენ კარგ ოსტატ ფერმწერსაც შეშურდებოდა პალიტრა, რომელიც ელენე მამულაშვილის ბუნების მდიდარი გალერეიდან აქვს მოტანილი, გახმობილი და სათუთად დაკრული ტილოზე. ან რა საოცარ ჰარმონიას ჰქმნიან ეს ტილოები თავისი მუსიკალობით და ფერწერულობით

ამას წინათ თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო ელენე მამულაშვილის ნამუშევართა გამოფენა, რომელმაც მნახველთა ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია. ხოლო იმათთვის, ვინც ეს გამოფენა ვერ ინახულა, დღეს ჩვენ ვბეჭდავთ რამდენიმე სურათს იმ მდიდარი მასალიდან, ამ მოკრძალებულ ქალს რომ შეუხსრულებია სულ ცოტა ხნის მანძილზე.

სამწუხაროდ, პოლიგრაფიას არ ძალუძს სრულყოფილად გადმოსცეს მისი ნამუშევრების მთელი მომხიბვლელი ფერითა არაჩვეულებრივად მდიდარი გამა... მაგრამ ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისათვის ესეც საინტერესო იქნება.



მკატარინე ბალდავაძე, ხელოვნების დემსახურებული მოღვაწე.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

